# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 227 ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი 1909 წ. № 227

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბრუნდება მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


დამტარებლის ავადმყოფობის გამო მთაწმინდასა და ვერაზე გუშინ, 13 ოქტომბერს, ხელის-მომწერთ „დროება“ ვერ დაურიგდათ.


## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.


ივანე და ნიკოლოზ ანდრიას ძენი და ანნა ანდრიას ასული ყიფშიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 15 ოქტომბერს, გარდაცვალების მეცხრე დღეს, წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათის დაუვიწყარ დედის

**აღათია (ანო) ალექსის ასულის ყიფშიძის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე. (1—509—1)

კნეინა ბარბარე რაფიელის ასული ხიმშიაშვილისა, შვილები გიორგი და ეკატერინე, მარიამ გიორგის ასული ლლონტისა, ნინო გიორგის ასული და კონსტანტინე იოსების ძე ყავრიშვილები შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ვერაგულად მოკვლას პირველის—საყვარელ მეუღლის, მეორეთა—მამის, მეოთხისა და მეხუთის—ძმის, მეექვსის ცოლის ძმის

**თავ. ნიკოლოზ გიორგის ძის ხიმშიაშვილისას.**

დაკრძალვა ს. ბულაჩაურში, ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს. (1—507—1)

წარმოდგენა № 7. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 7.

ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, 1909 წელს

მამა დავითის საქალებო სკოლის სასარგებლოთ

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ბ-ნ დ. მგალობლიშვილის სადებიუტოდ კომ. ვ. სარდუსი.

## „აი გიდი მეგობრებო“

4 მოქმედებად თარგ. კ. ბაქრაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. ზარდალიშვილი, დ. მგალობლიშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 11მ. 70 კ.-დან 5 მ. 80 კ.-მდე, პარტერი 2 მ. 70 კ.-დან 75 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

**საღამოს გამგე კნ. ელისაბედ ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.**

მზადდება წარმოსად. „ორი ობოლი“ ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, 1909 წ.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

## სამხედრო ბანაკში

დრამა 4 მოქმედებად ბეიერლენისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 24 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ღალატი“ სუმბათაშვილისა და სხვ.

უმორჩილესად ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—3) რეჟისორი შათირიშვილი. ადმინისტრატორი სვირელი.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—179)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. ვადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—36)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—33.—82)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ , ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—11)

ქართული წარ- **ავლაბრის თეატრი** მოდგენა № 4.

შაბათს, 17 ოქტომბერს 1909 წ.

ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## დამარცხებულნი

პიესა 5 მოქმ. ირეთელისა,

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, ქართველიშვილი, კავთელი; ბ-ნნი სალაყაია, ჯიბლაძე, ქიზიყელი, გელიკურაშვილი, გომელაური, ბაღაშვილი, მესხიძე, მაისურაძე, მირველოვი, რევაზოვი, გოჩიტაშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასები 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

უმორჩილესადა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურვინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება.

დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

(2—3)

**ექიმმა** ქუთაისში. **ვოლოხმა** ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—3)

**ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბლონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—271)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—22)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის** ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—31)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—23)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—89)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—81

**ექიმი გ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—28)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნებრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—18)

**ექიმი -სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი** იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—4)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—28)

**ქ. თელავში**

**იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**

## ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით.

**ახალი მეთოდი.**

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მან., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. ადრესი: Телавъ. Софьѣ Іосифовнѣ Симоновой. Бульв. пер. 2, собственный домъ. (5—უ.—4)

**იყიდება ყველგან ახალი**

## ◀ ჩანგი ▶

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან“, „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“ და „უბედური დღე“. წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“ Гачечиладзе. (30—ნ.—28)

**ქართული თეატრი**

ოთხშაბათს, 14 ოქტომბერს შესდგება

## კონცერტი

**ი. პ. სარაჯიშვილისა** (ტენორი)

მონაწილეობას მიიღებს: **ქ-ნი ისკანდერ** (სოპრანო, ოპერის მსახიობი ქალი) **ბ. მერენბლიუმ** (სკრიპკაზე დამკვრელი) **ქ-ნი პოლტარაცკაიასი** (როიალზე დამკვრელი) **ბ-ნ ამირჯანი** (ბარიტონი, ყოფილი არტისტი საიმპერატორო სცენისა) და **ბ-ნი დავიდოვი** (დეკლამატორი). აკომპანიმენტს დაუკრავს **ბ-ნი ნ. ქართველიშვილი.**

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

დაწვრილებით პროგრამებში. (1—1)

## სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**კანონ-პროექტი მიწათ-მოწყობის შესახებ.**

მეორე სხდომაზე, 12 ოქტომბერს, სათათბირო შეუდგა კანონ-პროექტების განხილვას. ამ დღეს განიხილა კანონ-პროექტი მიწათ-მოწყობის შესახებ, რომელიც, როგორც ზოგიერთებმა განაცხადეს, დამატებაა 9 ივლისის კანონისა. მომხსენებელმა განაცხადა: უმთავრესი უბედურება სოფლისა ის არის, რომ მიწით სარგებლობა არ არის მოწყობილი. მიწა დანაწილებულია ნაჭრებად. კანონ-პროექტს აზრადა აქვს, შეძლება მისცეს გლეხს, რომ სხვა და სხვა ადგილას გაფანტულ მიწის ნაჭრებს თავი მოუყაროს და ერთ მთლიან ხუტორად გადააქციოსო. კანონ-პროექტი ამ საქმეში ხელს შეუწყობს გლეხობასო.

კანონ-პროექტის დასაცველად ილაპარაკა მიწათ-მოქმედების სამმართველოს უფროსმა. კანონ-პროექტსავე მხარი დაუჭირეს მემარჯვენებმა და ოქტომბრისტებმა. ოქტომბრისტები, საზოგადოდ, დიდ იმედს ამყარებენ ამ კანონ-პროექტზე, რომელიც პრინციპიალურს არაფერს შეიცავს და, როგორც კადეტების ორატორებმა განაცხადეს, მხოლოდ ტეხნიკური მნიშვნელობა აქვს საადგილ-მამულო საქმის მოწყობაში.

**ბერეზოვსკი პირველმა** (კადეტი) სთქვა, რომ კანონ-პროექტი კულტურის სინათლესა და ცოდნას ვერ შეიტანს სოფელში, თუმცა მცირე მნიშვნელობა კი აქვს მასაო. ორატორის აზრით, საჭიროა მხოლოდ, რომ მიწათ-მომწყობი კომისიები ადგილობრივ მოეწყოს და არა სამინისტრო მოხელეებს მიენდოთ ეს საქმე, როგორც ეხლაა. მანვე წარადგინა კადეტების პროექტი მიწათ-მომწყობ კომისიების რეორგანიზაციისა.

**როდიჩევმა** (კადეტი) სთქვა, უპირველეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ სახელმწიფოში უფლებრივ წესწყობილების დამყარებისთვისაო და პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ დავა საადგილ-მამულო საქმეების გამო ადმინისტრაციის ორგანოებმა უნდა გადასწყვიტონ ხოლმე და არა სასამართლოებმა.

**კუტლერმაც** (კადეტი) აღნიშნა ეხლანდელ მიწათ-მომწყობ კომისიების ცუდი შედგენილობა. გარდა ამისა, სთქვა: ეს კანონ-პროექტი საზარალო იქნება მცირე მიწა-წყლის პატრონთათვის—იგი შექმნის და გაამრავლებს პროლეტარიატსაო.

**კროპოტოვი** (მშრომელთა ჯგუფი). მთავრობის ახალი კანონ-პროექტი მხოლოდ შეძლებას მისცემს გლეხებს, დააგირაონ და დაჰყიდონ თავიანთი მიწა-წყალი. მშრომელთა ჯგუფი ხმას არ მისცემს ამ კანონ-პროექტს, ვიდრე სათათბიროს უმრავლესობას შეადგენენ მემამულენი, მოხელენი და მღვდლებიო.

მშრომელთა ჯგუფის სხვა წევრებმა ისიც აღნიშნეს, რომ ამ კანონ-პროექტით მთავრობა ხელს უწყობს სათემო მფლობელობის დარღვევას.

საღამოთი კვლავ განახლდა კრება.

**ბელოუსოვი** (სოც.-დემოკრატი). აქ სთქვეს, პროგრესის უდიდესი მტერი მიწის დაქუცმაცებააო. (чрезполосица). ს.-დემოკრატების აზრით, უდიდესი მტერი პროგრესისა ეს კი არა, მემამულეთა ლატიფუნდებია. ხალხის შრომა ნაყოფს ვერ გამოიღებს იმ დრომდე, სანამ ეს ხალხი ხიშტების ქვეშ მუშაობს. შემდეგ ორატორმა მოითხოვა დემოკრატიული რეფორმები.

ამ დღესვე დამთავრდა კამათი და სათათბირომ მიიღო პირველ წაკითხვის დროს კანონ-პროექტი. ეხლა იმის მუხლობრივ განხილვას შეუდგებიან.

დასასრულ თავმჯდომარემ სთქვა, რომ სოც.-დემოკრატებმა შეკითხვა შემოიტანესო, და ეს შეკითხვა მდივნის ამხანაგს ზამისლოვსკის გადასცა წასაკითხავად, მაგრამ მან უარი განაცხადა: მე ერთგული ქვეშევრდომი ვარ და ამ კანონის საწინააღმდეგო, შეკითხვას ვერ წავიკითხავო (ტაში მარჯვნივ). მდივნის ადგილი დაიჭირა სოკოლოვმა მეორემ (ტაში მარცხნივ). მემარჯვენენი დემონსტრატიულად გარედ გავიდნენ.

სოკოლოვმა წაიკითხა შეკითხვა. იგი შეეხება ძირითად კანონების მე 96 მუხლის განხორციელების წესს. როგორც ვიცით, ამ მუხლის ძალით, სახელმწიფო კანონმდებლობის მრავალი დარგი ჩამოაშორეს საკანონმდებლო დაწესებულებას და პირდაპირ ხელმწიფეს დაუქვემდებარეს. ასე მოიქცნენ, მაგალითად, საზღვაო და სამხედრო საქმეებში. პოკროვსკიმ დაასაბუთა შეკითხვა.

**გუჩკოვი** (ოქტომბრისტი). ოქტომბრისტების ლიდერმა ეს შეკითხვა ძალიან დიდ მნიშვნელოვანად ჩასთვალა, თუმცა გაჰკიცხა სოც.-დემოკრატები—ბავშვურად დაასაბუთეს შეკითხვაო. მან სასაცილოდ აიგდო ს.-დემოკრატები—უხეირო ადვოკატებივით კანონის მუხლებით ააჭრელეს შეკითხვაო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გუჩკოვმა დიდად საყურადღებოდ ჩასთვალა შეკითხვა და წინადადება მისცა სათათბიროს, შეკითხვა კომისიას გადასცეს, რომ ორი კვირის განმავლობაში შეასწორშეაკეთოს იგი.

**ჩხეიძემ** პასუხი გასცა გუჩკოვს და განაცხა, ეს შეკითხვა იმიტომ შემოვიტანეთ, რომ ოქტომბრისტების ნამდვილი ფიზიონომია გამოვააშკარავოთო.

სათათბირომ უარ-ჰყო სისწრაფე შეკითხვისა (მომხრენი იყვნენ სოც.-დემოკრატები და მშრომელთა ჯგუფი). შეკითხვა კომისიას გადაეცა.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ოქტომბერი

**საზღვარ-გარედ.**

**რაკონიჯი.** ხელმწიფე იმპერატორის და მეფის წასვლამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. გუშინდელ ნადიმზე ნათქვამმა სიტყვებმა დაამტკიცეს, რომ რუსეთი და იტალია ერთი-ერთმანეთს ენდობიან და მეგობრული განწყობილებაც აქვთ. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრები იზვოლსკი და ტიტონი ხანგრძლივი ლაპარაკის დროს შეეხნენ სხვა და სხვა პოლიტიკურ საკითხებს. გამოირკვა, რომ ორთავე სახელმწიფოები მოწადინებულნი არიან დაიცვან ოსმალეთის ეხლანდელი მდგომარეობა და ბალკანეთის

სახელმწიფოების დამოუკიდებლობა. ამრიგად რუსეთ-იტალიის დამეგობრება-დაახლოვება სხვა სახელმწიფოებში არავითარ ეჭვს არ გამოიწვევს, პირიქით სახელმწიფოები დიდის სიამოვნებით მიეგებებიან ამ ორ სახელმწიფოს დაახლოვებას; რადგან ამათი დაახლოვება ბალკანეთის მშვიდობიანობის გარანტიაა.

## რ უ ს ე თ ი

**ტამბოვი.** სოფელ ცარევსკაში უცნობებმა გაცარცვეს სოფლის საზოგადოების სამმართველო, მღვდელი და მედუქნე. სოფლის სამმართველოში უცნობებმა სულ ერთიანად დასწვეს საბუთის ქაღალდები.

**მოსკოვი.** დილის 10 საათზე სამი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი შეეცადა შეერთებულ ბანკის გაცარცვას. ბოროტ-გამზრახველები დამალულიყვნენ ბანკის საწყობის შესავლებში და უცდიდნენ იმ დროს, როდესაც საწყობში ფულისთვის ჩავიდოდა მეარტელე. როდესაც მეარტელე ჩავიდა საწყობში, უცნობები მისცვივდნენ მეარტელეს, მაგრამ ბანკის მოსამსახურეებმა დროზე შეიტყვეს ეს და მეარტელეს მიეშველნენ. ბანკის მოსამსახურეებმა იარაღი აჰყარეს ერთს და დააპატიმრეს, ორი გაიქცა.

**პეტერბურგი.** ეკატერინობურგსა, ვერხოტურიესა, ეკატერინობურგის და ვერხოტურიეს მაზრებსა, ბახმუტის მაზრასა, იალტასა, მის მაზრასა, ტავრიდის გუბერნიასა, კრასნოვოდსკისა, კიზილ-არვატსა, ასხაბადსა და მერვში განსაკუთრებული წესები კიდევ რამდენიმე ხნით დასტოვეს.

**ივანოვო-ვოზნესენსკი.** პაპოილოვკაში, გლეხის სახლში ყუმბარა აფეთქდა. მოკლულია ერთი კაცი. გლეხის სახლის გაჩხრეკის დროს პოლიციამ იპოვა კიდევ ოთხი ყუმბარა, რევოლვერი და პატრონები.

**ვოლოგდა.** ნაშუაღამევს წამლის საწყობის ახლო მოდარაჯე სალდათმა მოჰკლა სატუსაღოს ზედამხედველი. სატუსაღო წამლის საწყობის ახლოა. სალდათს სატუსაღოს ზედამხედველი ბოროტგანმზრახველი ეგონა.

**პეტერბურგი.** ოდესის გრადონაჩალნიკმა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს შეატყობინა, სამართალში ვაძლევ დეპუტატ არონ ხაიმის ძე ბროდსკის, რადგან არჩევნების დროს იგი თავის თავს უკანონოდ „არკადის“ უწოდებდაო.

**პეტერბურგი.** ვარშავისა, სედლეცისა და ლიუბლინის გუბერნიებში განსაკუთრებული წესები 1910 წლის 4 სექტემბრამდე კიდევ დარჩება.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციის განკარგულებით დააჯარიმეს 1000 მანეთით „პეტერბ. ცაიტ.“ რედაქტორი კიუგელმანი, 300 მანეთით „ზემშჩინას“ რედაქტორი იანკოვსკი.

**გერცენშტეინის მოკვლის საქმე.**

**კიუვენეპე.** გერცენშტეინის მოკვლის საქმის შესახებ სასამართლომ უკვე გამოაცხადა განაჩენი. სასამართლომ დამნაშავედ იცნო: ლარიჩკინი განზრახ მკვლელობაში და იუსკევიჩ-კრასკოვსკი—მკვლელობის მოწყობასა და წაქეზებაში. სასამართლომ ლარიჩკინს და იუსკევიჩ-კრასკოვსკის ექვს-ექვსი წლით სატუსაღო გადაუწყვიტა, და ათ ათი წლით მოქალაქეობრივ ნდობის დაკარგვა. დუბროვინის შესახებ საქმე შეაჩერეს, მხოლოდ გერცენშტეინის ქვრივის ინტერესის დამცველებს უფლება აქვთ, თუ დუბროვინი ფინლიანდიაში გამოცხადდა, განაახლონ საქმე.

## თათბირი ეროზის შესახებ

12 ოქტომბერს საგუბერნიო საერობო კრებამ სამი მოხსენება განიხილა.

სხდომის გახსნისას მალაკნების წარმომადგენელმა სამოდუროვმა განაცხადა, გლეხებმა ვერ გავიგეთ კურიალური სისტემა არჩევნებისა და გთხოვთ, განგვიმარტოთო.

**ბ. ძებნიაური** (თიანეთიდან, გლეხია). ჩვენ არ დაგვივალებია სამოდუროვისათვის, ჩვენი სახელით ილაპარაკოს. ჩვენ ძალიან კარგად გავიგეთ, რაშიაც არის საქმე, და არავის არა ვთხოვთ განმარტებას,

მოხსენება წაიკითხა **ბ-ნმა აბელოვმა** საერობო დაწესებულებათა კომპეტენციის გაფართოვების შესახებ. აბელოვის მოხსენება უმთავრესად შეეხებოდა სარწყავ წყლების მოწეს-რიგების საქმეს. მოკლედ აღნიშნა, რომ მორწყვის საქმე არ არის რიგიანად დაყენებული. შედეგად ამას ხშირად მოსდევს შიმშილი იქ, სადაც მშვენიერი მოსავალი შეიძლება მოიყვანოს კაცმა. რადგან მორწყვის საქმის მოწეს-რიგებას და განვითარებას სჭირდება ორგანიზაცია, რადგან წყალთა ინსპექცია თავის მოხელეებით ვერა სწვდება საქმეს, მომხსენებელმა წინადადება შეიტანა, რომ წყლების მართვა და მორწყვის საქმის ხელმძღვანელობა გადაეცეს მომავალ საერობო დაწესებულებებს.

**ა. ქალანთარი** და **გვაზავა** ეთანხმება მომხსენებელს, რომ ხელმძღვანელობა სარწყავ წყლების საქმეში უნდა გადაეცეს საერობო დაწესებულებებს.

**ი. ს. ჯაბადარი** საჭიროდ სცნობდა, საერობო დაწესებულებებს გადაეცეთ ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმე, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა დარჩეს წყალთა ინსპექციის ხელში. თითქმის ყველა ორატორი თანახმა იყო მომხსენებლისა.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია, სექციის მიერ შემუშავებული: „წყალთა სამეურნეო და საეკონომიო ნაწილის მართვა-გამგეობა გადაეცეს საერობო დაწესებულებებს“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საარჩევნო სისტემის საქმეს თითქმის ორი სხდომა მოუნდა კრებამდე. ბევრი მომხრე იყო საყოველთაო საარჩევნო უფლებისა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ორატორებს აეკრძალათ. წინა სხდომაზე 26 ხმა მომხრე იყო იმისა, რომ დაწესდეს სამი საარჩევნო კურია, ხოლო 24 ხმა—წინააღმდეგი იყო. რადგან კურიის მომხრე ძალიან მცირე იყო, საკითხი ხელმეორედ იქმნა დაყენებული 12 ოქტომბრის სხდომაზე.

**მიხეილ გედევანიშვილმა** ახალი წინადადება შეიტანა. მან განაცხადა, კურიალურმა წესმა არჩევნებისამ შეიძლება არა სასურველი დამოკიდებულება დაჰბადოს წოდებათა და კლასთა შორის, ამიტომ უმჯობესი იქნება სოფლის მუშა ხალხი და მიწის პატრონები ერთად გამოვიდნენ ერთს საარჩევნო კურიაში ერობის საბჭოს ხმოსნების ასარჩევად, ხოლო ვაჭარ მრეწველები კი ქალაქის მცხოვრებლებთან ერთად. ამასთან ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების რიცხვი უნდა განისაზღვროსო. ორატორის აზრით, ვაჭარ-მრეწველთა კურიამ ხმოსანთა საერთო რიცხვის მეექვსედზე მეტი არ უნდა აირჩიოს. ერობა უმთავრესად სოფლის ცხოვრებას და მეურნეობას უწევს ხელმძღვანელობას და ამიტომ სასურველია, ერობა სოფლელთა ხელში დარჩესო.

ხმის უმეტესობით მიიღეს გედევანიშვილის წინადადება, რომლითაც ორი კურია უნდა დაწესდეს, ერთი—მემამულეთა და გლეხთათვის, მეორე—მოქალაქეთა და მრეწველ-ვაჭართათვის.

შემდეგ სექციის სახელით მოხსენება წარუდგინა კრებას თავ. **დ. ე. ჩოლოყაშვილმა.** მოხსენება შეეხებოდა იმ საკითხს, სასურველია თუ არა საზოგადოდ ნაციონალურ უმცირესობის და კერძოდ რუსების უფლებათა უზრუნველ-ყოფა. მომხსენებელმა აცნობა კრებას, რომ სექციამ უარჰყო ეს წინადადება ბევრის სხვა და სხვა მოსაზრებითაო.

ამ საკითხმა კამათი გამოიწვია. ბ-ნმა **ვესელოვზოროვმა** დიდს ხანს ილაპარაკა და დაასაბუთა კიდეც, რომ განკერძოებულ კანონის შექმნას ჩვენ, რუსებისათვის, ცუდი შედეგი მოჰყვება, რადგან ასეთი კანონი გაამწვავებს ურთი-ერთობას ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ რუსებსა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორისაო, ვესელოვზოროვს მხარი დაუჭირა გადასახადთა ინსპექტორმა **გერცოვმა.** მან, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ჩვენ ყველანი რუსეთის იმპერიის შვილნი ვართ და თანასწორნი უნდა გავხდეთ კანონის წინაშეო.

ამავე საკითხის შესახებ მოხსენება წაიკითხა **სტ. ეირანოვმა**, რომელმაც იგივე აზრი გამოსთქვა, რაც აღნიშნულ ორატორებმა.

კრებამ მიიღო სექციის წინადადება.

## ჭიათურის საქმეები

აქ დიდი აყალ-მაყალი გამოიწვია ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებამ, რომლის ძალითაც ამ ოქტომბრისთვის მოწვეულ იქმნა შავი-ქვის მრეწველთა მეთორმეტე კრება.

ამ კრების მოწვევის წინააღმდეგი იყო ყველა ადგილობრივი მრეწველი. ორჯერ მოხდა ამის შესახებ კრება, საბჭოს მიერ მოწვეული, და ორჯერვე კრებამ გარდასწყვიტა, არ მოიწვიოს წრეულს. მრეწველთა კრება, ვინაიდგან არავითარი მორიგი საჭირო საქმე არ არისო. 1908 წლის კრიზისს მრეწველობაში კი ის შედეგი მოჰყვა, რომ კრებაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ ოთხმოცდაათ პროცენტს მრეწველებისას. ამის გამო კრების მოწვევა უხერხულად მიიჩნიეს.

რასაკვირველია, ასეთ გარდაწყვეტილების წინააღმდეგნი იყვნენ უცხოელი ჩარჩები, ისიც ორი სამი კაცი. გასაოცარი აქ მხოლოდ ის არის, რომ „უცხოელ ჩარჩთ“ იდუმალ მფარველობას უწევს „ჭიათურის წვრილ მრეწველთა კავშირი „ასსოციაცია“, რომლის „გამგენი და მესვეურნი“ „გაუბედავად, ჩუმ-ჩუმად“ ექომაგებიან „უცხოელ ჩარჩებს“ და მათ გაბედულებას აორკეცებენ. ამგვარად ესმით ამ ვაჟბატონებს ადგილობრივ, წვრილის მრეწველების ინტერესები, ასე შეგნებული აქვთ იმ წვრილ მრეწველების სარგებლობა, რომელთა წარმომადგენლობასაც ჩემულობენ.

სამინისტრომ „უცხოელის ჩარჩების“ ინტრიგების წყალობით დაარღვია ნება და კანონი კრების მოწვევისა, მაგრამ საქმის ვითარების განსჯამ მაინც იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ შეუძლებლად სცნო იმ საგნების შეტანა პროგრამაში, რომელთა გადაწყვეტა კრების არსებით ინტერესებს შეეხებოდა.

„უცხოელ ჩარჩთ“ უნდოდათ შემთხვევით ესარგებლნათ და ჩაეგდოთ ხელში მთელი მართვა-გამგეობა საქმისა, უნდოდათ აგრეთვე ხარჯთაღრიცხვა შეეკვეცათ თავიანთ გემოზე, რომ ადგილობრივ კულტურულ საჭიროებისათვის აღარაფერი გადაედოთ. მაგრამ ამ საქმეში პირში ჩალა გამოვლებულნი დარჩნენ—სამინისტრომ არ იკისრა ამგვარ პირობებში ასეთ მძიმე საგნების პროგრამამში შეტანა. ამ გვარად „უცხოელ ჩარჩთა“ ურიგო საქციელმა (დაბეზღებამ, უმართებულო საჩივრებმა) ვერ მიაღწია საწადელს. ამით გაბრაზმორეულები ისინი მაინც არა სდებენ იარაღს, დღე დღეზე საიდუმლო კრებებს მართავენ და სხვა და სხვა „იდუმალ“ საშუალებას ეძებენ, რათა სასურველი აღასრულონ.

ერთი რამ იწვევს აქ განცვიფრებას: „ასოციაციის“ მეთაურნი და პატრონნი (სამიოდე კაცი), რომელთა ერთად ერთი საგანი ის უნდა იყოს, რომ ადგილობრივი წვრილი მრეწველნი შეაკავშირონ „უცხოელ ჩარჩთა“ ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ამ „ჩარჩებთან“ ერთად ცხვირჩამოშვებულნი არიან, მათის დამარცხების გამო, და, როგორც აქ ამბობენ, მხარს აძლევენ ამ „ჩარჩებს“ მათ ოინებში. „ასსოციაციის“ ზოგიერთი წევრი ისე აღშფოთებულია „ასოციაციის“ გამგეთა ამგვარ საქციელით, რომ გადაწყვეტილი აქვთ მთლად მოსპონ ეს კავშირი, რომელიც, დახმარების მაგიერ, მტრობას უწევს.

ამ გვარია აქაური განწყობილება. ადგილობრივი მრეწველები ფიქრობენ მომავალ კრებაზე რამენაირად ისე მოაწესრიგონ საქმე, რომ არავის შეეძლოს მათი უფლებების გადალახვა.

**ჭიათურელი**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**რუსების გადმოსახლება.** ქობულეთიდან გვწერენ: „ამ დღეებში მოვიდა ერთი პარტია გადმოსახლებულ რუსთა. ესენი უნდა დაასახლონ მდინარე ჭოროხის მახლობლად, სადაც მოუზომავენ სამოსახლო და სახნავ ადგილებსა“.

**სახალხო უნივერსიტეტი.** 12 ოქტომბერს ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის სხდომა. გამგეობამ უდიდესი დრო მოანდომა ქართულ სახალხო წარმოდგენების სექციის შესახებ მოხსენების განხილვას. უნივერსიტეტის გამგეობის ფიქრით სექციაში დაბადებულა აზრი საუნივერსიტეტო საზოგადოებიდან სრულიად გამოცალკევებისა და დამოუკიდებლად მოქმედებისა. გარდა ამისა, გამგეობის აზრით, სექციას განზრახვა აქვს თურმე სცენისათვის საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ შეძენილი ნივთები თავის განკარგულებაში დაიტოვოს. ამ ამბავმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. თითქმის ყველანი წინააღუდგნენ სექციის სურვილს. გამგეობამ ბოლოს დაადგინა, აირჩიოს განსაკუთრებული კომისია და მას მიანდოს შესწავლა ქართულ წარმოდგენების სექციის მდგომარეობისა. კომისიამ გამგეობას მოხსენება უნდა წარუდგინოს. კომისიის წევრებად აირჩიეს პ. ქიქინაძე, ი. ფაღავა, ბაგრატ მიკირტუმოვი, მიხეილ ჩოდრიშვილი და ინჟინერი ლემანი, ამავე სხდომაზე გამგეობამ დაამტკიცა საუნივერსიტეტო საზოგადოების ქართულ და რუსულ სექციების წევრთა სია. ქართულ სექციაში არჩეულია 15, ხოლო რუსულში 12 კაცი. რუსული სკოლის მასწავლებლად გამგეობამ დაამტკიცა ქ-ნი ტუგუშევისა და ბ-ნი მატვეევი, ხოლო თათრის სკოლის მასწავლებლად ჯაფარ-ბეკ ჯაფარ-ბეკოვი.

**სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი.** 10 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, მუშტაიდში დააპატიმრეს გორის მაზრის გლეხი ნიკოლოზ აღდგომელაძე კაციაშვილი. კაციაშვილს აღმოაჩნდა ჯიბეში პასპორტი იოსებ ბერიძისა და მოწმობა გაზეთ „ჩვენი საქმის“ რედაქციისა. მოწმობაში აღნიშნული იყო, რომ იოსებ ბერიძე არის თანამშრომელი „ჩვენი საქმის“ რედაქციისა. ხელს აწერს რედაქტორი. კაციაშვილმა ჯერ დამალა თავისი ვინაობა და განაცხადა, ბერიძე ვარო, ხოლო შემდეგ გამოტყდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ვარო. კაციაშვილი განთავისუფლეს, მაგრამ ყალბი პასპორტის ტარებისთვის პასუხისგებაში იქმნება მიცემული.

**ტუსაღის მოკვლა.** აბასთუმნიდან გვწერენ: „12 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ახალციხეში მიჰყავდათ ტუსაღი, რომელსაც დანაშაულობა ჰბრალდებოდა. გზაზე ტუსაღი შეეცადა გაქცევას, მაგრამ სტრაჟნიკებმა მოჰკლეს“.

**გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების გამო.** მოგვივიდა შემდეგი დეპეშები და წერილები: „ხარკოვის ქართველი თვისტომობა გულწრფელ მწუხარებას აცხადებს მგოსნის გრიგოლ ვოლსკის უდროოდ დაკარგვის გამო. თვისტომობის გამგეობა.“ „ხონი. წერა-კითხვის საზოგადოების ხონის განყოფილება

## სპარსეთის დღევანდელი მდგომარეობა

(დასასრული *)

ვერაფერი სანუგეშოა დღეს სპარსეთი: ხაზინა ცალიერი, მრეწველობა მეურნეობა დაცემული და მიწასთან გასწორებული, საგადასახადო მასსა მშიერ-მწყურვალი და უვიცი—აი, როგორი სამკვიდრო დაუტოვა განახლებულ სპარსეთს ავად ხსენებულ მაჰმად-ალი-მირზას უმსგავსმა მეფობამ!

იმ ორ მილიონ მანეთის სესხის იმედი, რომელიც ინგლისსა და რუსეთს უნდა გაენაღდებინათ და რომელსაც ჯერ ისევ მაჰმად-ალის მთავრობა ციურ მანანასავით მოელოდა, სამუდამოდ გაცრუვდა. რუსის აქაური დიპლომატები გულახდილად აცხადებენ: „ვის უნდა მივცეთ ფული: ამ ბრბოს, რომელიც თავის თავს რევოლიუციონურ მთავრობას უწოდებს? არა, საკმაოა, რაც აქამდე გადავყარეთო“. დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი რევოლიუციონური მთავრობა. ქვეყნის მთელი იმედი მომავალ მეჯლისზეა დამყარებული, მას შესტრფის დიდიცა და პატარაც: აი, შეიკრიბება ჩვენი მეჯლისი, ჩვენი სისხლით მოპოვებული მეჯლისი, და მაშინ მაშრუტას—თავისუფლებას—აღარა უშავს-რაო, მაგრამ რადგან უგზოობისა და უფულობის გამო მეჯლისის შეკრება გვიანდება, იგი იძულებულია კერძო პირებსა და უცხოელების აქაურ ბანკებს სთხოვოს მოკლე ვადიანი სესხი, რომ მიმდინარე ხარჯი მაინც დაჰფაროს; მაგრამ რადგან საქმეს ესეც ვერა შველის, სამინისტრომ განიზრახა ძველ, ნაცად იარაღისთვის მიემართნა—შემოეღო ახალი გადასახადი (საგერბო, თამბაქოსა, ხაშხაშსა და სპირტზე), მაგრამ ხალხმა უნდო თვალით შეჰხედა ასეთ „უკიდურესობას“.

—მაშ, რა უნდა ვქნათო;—მითხრა შინაგან საქმეთა მინისტრმა სასოწარკვეთილის ხმით:—მართალია, ეს აქტი კონსტიტუციას არ შეესაბამება, რადგან ყოველნაირ გადასახადის დადება მეჯლისის საქმეა, მაგრამ მოსე ხომ არა ვარ, კლდეს კვერთხი დავკრა და ოქროს ნაკადული გადმოვადინოო.

უფულობამ ბოლოს იქამდე მიიყვანა სამინისტრო, რომ გადადგომა მოითხოვა. რეგენტი დიდ ხანს ჯიუტობდა, მაგრამ იგიც იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო და კიდევაც მიანდო სამხედრო მინისტრს,—ნასრე სალთანეს—ახალ სამინისტროს შედგენა. თუმცა ახალ კაბინეტში უმეტეს ნაწილად ისევ ძველი წევრები შევიდნენ (გარდა გარეშე საქმეთა მინისტრის, ნასრულ-მულკისა, რომელმაც საბოლოოდ უარი განაცხადა) და მხოლოდ პორტფელები შეიცვალა, მაგრამ აქ მისი მაინც დიდი იმედი აქვთ, რადგან „ეს უკვე სრულ უფლებიანი სამინისტროაო“. სრულ უფლებიანი თუ არა, ეს გარემოებას არა სცვლის, მხოლოდ ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია: როგორც ახალ სამინისტროს, ისე იმის მოქმედების დამადასტურებელ მომავალ მეჯლისს დიდი წინ-დახედულობა და ბეჯითი მუშაობა დასჭირდება, რომ შინაურ და გარეულ მტრებს საკადრისი პასუხი გასცეს, რადგან არის ისეთი სიმპტომები, რომლებიც ახლო მომავალში მეზობელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულების გართულებას გამოიწვევს. დღეს, როცა მთელ სპარსეთში მშვიდობიანობა მყარდება და უცხოელთ არავითარი საფრთხე არ მოელით, „კეთილი“ მეზობლები „თავისას მაინც არ იშლიან და ახალ-ახალ ხაფანგს უგებენ სპარსეთს. ამას „უცხოელთა სიცოცხლისა და ქონების უზრუნველ საყოფელად ჩვდივართო“, გაიძახიან ისინი. რევოლიუციონურ ბრძოლის დროს, როცა შაჰის მომხრე ბახტიარები და სარბაზები ნამდვილ ჯოჯოხეთს ატრიალებდნენ თეირანში და, მრუდესა და მართალს, ყველას სცარცვავდნენ, რუსეთის ქვეშევრდომნი ავსტრიისა და ოსმალეთის საელჩოებს სთხოვდნენ მფარველობას, მაშინ როცა დიპლომატები საავარაკო ზერგენდეში (სოფელია თეირანის ახლო) განცხრომით სცხოვრობდნენ და მაჰმად ალის უწევდნენ მასპინძლობას! დღეს კი, მყუდროების დროს, საჭიროდ გახდა უცხოელების დაცვა? შაქარი მათ პირს! დაცვის წინააღმდეგ ვინ რას იტყვის, თუ ეს საჭირო გახდება, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ სიტყვას „დაცვა“ დიპლომატიურ ენაზე სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე, თუნდ, უბრალო სასაუბრო ენაზე. ერთმა, „მისსიის“ წრეებთან ძლიერ დაახლოვებულმა, პირმა სარწმუნოდ მითხრა, რომ თუ დღემდე სპარსეთს მეზობელ სახელმწიფოთაგან სამუდამოდ დაჰქრა ასცდა, მომავალში დროებით ოკუპაციას მაინც ვერ გადურჩებაო!

დიახ, მხოლოდ „დროებითი ოკუპაცია“! მაგრამ ჩვენ ხომ ყველამ კარგად ვიცით, რითი თავდება ხოლმე ასეთი „დროებითი ოკკუპაცია“. მოიგონეთ, თუ გინდ ჩვენ თვალწინ მომხდარი ფაქტი, როცა ძლიერმა ავსტრიამ ოკკუპაციის პრინციპის ძალით ასე უმად ჩაყლაპა უძლური, მაგრამ „გემრიელი“, ბოსნია-ჰერცეგოვინა! არ დავიჟინებ, სპარსეთის შინაური მდგომარეობა კრიტიკულია, მაგრამ არც ისე უნუგეშო და სასოწარკვეთილი, როგორც კაცთა-მძულვარების ორგანო „ნოვოე ვრემია“ გაჰკივის და ისედაც გამწვავებულ რუს-სპარსელთა დამოკიდებულებას კიდევ უფრო ამწვავებს.

თითქმის ორი მესამედი სპარსეთის ამბებისა, რომელსაც „ნოვოე ვრემია“ ათავსებს თავის ფურცლებზე სათაურით „საკუთარ კორესპონდენტისაგან“, ან სიცრუეა, ან განგებ დამახინჯებული! აი, ორიოდე მაგალითიც: მაჰმად ალის ტახტიდან ჩამოგდების ორი თუ სამი კვირის შემდეგ, ბ-ნ იანჩევეცკის („ნ. ვრემ.“ კორესპ.) მოლანდებიან, რომ „რევოლიუციონურ მთავრობის ბარბაროსულ მოქმედებისაგან მოთმინებიდან გამოსული ხანები: ლორისტანისა, შახსევანებისა, თურქმენებისა და სხვათა ექს-შაჰის ძმის სალარეთ დოვლეს მეთაურობით მზად არიან თეირანზე გასალაშქრებლად და რევოლიუციონურ, მეტიჩარა მთავრობის დასასჯელადაო“. როცა ამ ცნობას რუსის მისსიაში მიეღწია და ექს-შაჰისთვის მიეხარებინათ: ახლა კი თქვენი დრო დადგა, მოისწრაფიან თქვენი ერთგული ყმები, რომ ტახტი დაგიბრუნონო, მაჰმად-ალის მწარედ გაეცინებოდა და ეთქვა: თუ ჩემი მხსნელნი ისეთის სიჩქარით მოისწრაფიან, რომ თეირანამდე მოსვლას აგერ ორი კვირა მეტი უნდებიან, მე ამასობაში ოდესას კი არა, სახალინსაც გამაცილებენო!

ნამდვილად კი არაფერი ამისი მსგავსი არსად არა ყოფილარა. ლორისტანისა და თურქმენების ხანები მოსვენებით სცხოვრობენ თავიანთ სამფლობელოებში და სრულიად არ აინტერესებთ ის გარემოება, მაჰმად ალი იქნება სპარსეთის ტახტზე, თუ აჰმედ მირზა!

„ნოვოე ვრემიას“ და მის კორესპონდენტს გულით სწადიანთ დაუმტკიცონ მთელ ქვეყანას, რომ მაჰმად-ალის ტახტიდან ჩამოგდება ხალხის ნებისა და მართლმსაჯულების შედეგი კი არა, ერთი მუჭა შეთქმულთა საქმეა; რომ ექს-შაჰის ერთგული ქვეშევრდომი, ე. ი. ხალხი სინანულის ცრემლებსა ღვრის, მზად არის თავისი შეცდომა გაასწოროს და უდანაშაულოდ დასჯილ მონარქს მამა-პაპისეული კვარცხლბეკი დაუბრუნოს. „აი მაგალითადაო,—მოუთხრობს კორესპონდენტი—იმ დღეს, როცა მაჰმად-ალი-შაჰი თავის ოჯახობით რუსეთს უნდა გამგზავრებულიყო, ჩვენი მისსიის წინ შეიყარა დიდ-ძალი კრება და მოითხოვა გაძევებულ შაჰის სამშობლოში დატოვება, ისე მოდა მუქარა „დროებით მთავრობის“ მიმართ. იმდენად გულწრფელი იყო მათი პროტესტი და შაჰისადმი სიყვარული, რომ ბევრი ტიროდა კიდეც, მაგრამ“...

მაგრამ, Стоитъ пень отъ дерева, а онъ видитъ—морда звѣрева!

გულჩვილ კორესპონდენტს სურდა ასეთი რამ მართლა მომხდარიყო და სწორედ ამიტომ დაგვიხატა საკუთარ ოცნების ნაყოფი სინამდვილის მაგიერ.

ნამდვილად კი საქმე ასე იყო: დილით „მისსიის“ წინ შეიკრიბა ათიოდე მოლა და მოსყიდული ცეცხლის წამკიდებელი, რომელთაც წინა ღამე თეირანის ბაზრის მთელი უბანი გადასწვეს. ვინ იცის, იქნებ „სამანიფესტაციოთ“ კი არა, სეირის საყურებლად უფრო მოვიდნენ, ისე როგორც უბრალო ცნობის მოყვარენი; მაგრამ, როცა „მისსიაში“ შეჰქმნეს ერთი აურ-ზაური: აჰა, შეხეთ, რა დიდებული მანიფესტაციით მზადდებაო, „პატივცემულმა“ მოლებმა და მთვარლმა ცეცხლის წამ-

*) იხ. „დროება“ N 226.

გლოვობს მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის უდროოდ დაკარგვას. გთხოვთ გადასცეთ ჭირისუფლებს ჩვენი მწუხარება. გამგეობის თავმჯდომარე ჭიჭინაძე". „თელავი. წერა-კითხვის საზოგადოების თელავის განყოფილება დიდად სწუხს პატიოსან საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების გამო. გთხოვთ, გადასცეთ ჭირისუფლებს ჩვენი მწუხარება." „სანაინი. სანაინის ინტელიგენტთა ჯგუფი გულწრფელ მწუხარებას გამოსთქვამს პოეტის და მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების გამო". „კიევი. ძალიან დაგვალონა ძვირფას მასწავლებლის და მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის დაკარგვამ. სტუდენტები: ადამიძე, ბაბუშვილი, ბაქრაძე, ჯანყარაშვილი, იაგორაშვილი, კურცხალია, ფალავანდიშვილი, უფლისაშვილი".

✦ **თავად-აზნაურთა წინამძღოლნი სტოლიპინთან.** როგორც „ზაკ."-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, თავ.-აზნაურთა ტფილისის და ქუთაისის მარშლები, თავ. ი. ბაგრატიონ-დავითიშვილი და დ. ნიჟარაძე, მინისტრ-პრეზიდენტს სტოლიპინს მიუღია აუდენციაზე.

✦ **დაჯარიმება რედაქტორისა.** გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის 300 მანეთით დააჯარიმეს გაზ. „მშაკის" რედაქტორი. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთი თვით იქნება დაპატიმრებული.

✦ **ფრებელის კურსები.** ტფ. სამოსწავლებლო ინსტიტუტთან არსდება ფრებელის საზოგადოება და მერე ფრებელის ინსტიტუტი.

✦ **იურიდიული საზოგადოება.** პარასკევს, 16 ოქტომბერს, მოხდება იურიდიულ საზოგადოების კრება. ა. ა. მაჩაბლიშვილი წარმოსთქვამს სიტყვას ფ. ლისტის მოხსენების გამო („დანაშაულობა, როგორც სოციალ-პათოლოგიური მოვლენა").

✦ **ფული პოლიციის იარაღისთვის**, უკვე აღვნიშნეთ, რომ ტფ. ქალაქის საბჭომ აირჩია განსაკუთრებული კომისია და მიანდო შემუშავება მოხსენებისა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი ფული დასჭირდება გუბერნატორის მოთხოვნილების შესრულებას პოლიციისათვის ახალ იარაღის შეძენის შესახებ. კომისიას რამდენიმე სხდომა ჰქონდა. მის აზრით ქალაქს აღნიშნულ საქმისათვის დასჭირდება 19.289 მან. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ვიდრე საბოლოვოდ გადაწყდებოდეს საქმე, ცნობები შეჰკრიბოს სხვა და სხვა ქალაქებიდან.

✦ **მკვლელობა.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ეკატერინოდარის მახლობლად უცნობები თავს დასცემიან სახაზინო არყის დუქანს, მოუკლავთ მედუქნე, მძიმედ დაუჭრიათ მისი ცოლი, და გაქცეულან. ბოროტ-განმზრახველებს წაუღიათ 3,163 მანეთი.

✦ **ვაჭრის გატაცება.** დეპეშათა სააგენტოს ზუგდიდიდან ატყობინებენ: უცნობებმა გაიტაცეს ვაჭარი ფიფია. ფიფიას გამოსახსნელად მისმა ნათესავებმა 500 მანეთი გადაიხადეს. ბოროტ-განმზრახველებს საერობო დარაჯების ტანისამოსი ეცვათ.

✦ სამ უკანასკნელ დღის განმავლობაში ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: დააპატიმრეს თელავის ქუჩაზე თადეოზ აივაზიშვილი, რომელსაც ჰბრალდება ალექსი მინასაშვილის სახლიდან ნივთების მოპარვა; ოქოევის ქუჩაზე დააპატიმრეს უცნობი კაცი, რომელსაც 527 მანეთის ნივთები მოეპარა და მიჰქონდა; იგი აღმოჩნდა ალექსანდრე კოჩიევი, რომელსაც ნივთები მოეპარა თავის აღის გალუსტ არუთინოვის სახლიდან. 6 ოქტომბერს ოლგას საბებიო ინსტიტუტში საექიმოდ მიიყვანეს მარიამ კაპირინასი. ქალს განუზრახავს მუცლის გაფუჭება და რაღაც წამალი დაელია. კაპირინასი გადაიცვალა. ექიმების გამორკვევით, გადაცვალებულს დაულევია არაყში ჩაყრილი ქინაქინა. 11 ოქტომბერს სტრელკოვი ქუჩაზე ჩხუბის დროს ტფ. მოქალაქემ არშაკ სანტრუსოვმა დანით ხელში დასჭრა თავისი ბიძა გრიგოლ ფანუზოვი. სევანსკის ქუჩის შესახვევში თავის ბინაზე ტფ. მოქალ. ვასილ მასლოვმა ღვინის სმის დროს ჩხუბი აუტეხა დიმიტრი სადოვს და დასჭრა იგი კისერში. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო მასლოვი დააპატიმრეს.

✦ 11 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ვიდრე წარმოდგენას დაიწყებდნენ, ქართულ თეატრის სცენაზე ერთ სტატისტს გაუფრთხილებლობით გაუხსნია ცეცხლის საქრობი კრანი. წყალი მთელი თავის სიძლიერით სცენაზე შევარდნილა. მალე მოუხერხებიათ კრანის დახურვა.

✦ ვაკეში თავის ნაცნობ მელანია მუდროვის ბინაზე მისულა სტეფანე პოპოვი (65 წლისა) და კარბოლის სიმჟავე დაულევია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 12 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა თვალჭრელიძე, რომელსაც ჰბრალდება, 8 სექტემბერს თეოდოსიის ქუჩაზე ბორის ერმოლაევის დაჭრა.

✦ პოლიციამ 9—11 ოქტომბერს დააპატიმრა საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებულნი, მაგრამ შემდეგ თავიანთ ნებით დაბრუნებულნი, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ისააკ ნორდშტეინი, ნიკოგოს ანანოვი და ოღანეზ ვატულიანცი.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **შუამდგომლობის არ შეწყნარება.** ქუთაისის ბანკის გამგეობას სამინისტროდან მიუღია ცნობა, რომ შუამდგომლობა ბანკის საქმეების რევიზიის შესახებ, არ იქნა შეწყნარებულიო. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ერემეევი მომავლ თვეში პეტერბურგს მიდის ამ დაწესებულების საქმეების გამო.

✦ **გამოფენის დახურვა.** 10 ამ თვეს დაიხურა ქუთაისის გამოფენა. გამოფენილ საგნების ექსპერტიზა უკვე დამთავრდა და მცირე ხანში გამოცხადდება სია იმ პირთა, რომელთაც ჯილდო მიიღეს. გამოფენაზე ხალხი ბლომად დადიოდა და, როგორც ამბობენ, შემოსავალი და სხვა და სხვა დაწესებულებისაგან შემოწირული ფული ხარჯს დაფარავსო. არავის არ გაეხარდება გამოფენის დახურვა, როგორც იმ მასწავლებლებს, რომელნიც თავიანთ ექსპონატების ყურის საგდებლად იყვნენ მოსული, რადგან ქუთაისში ყოფნა იმ მცირე ფულით, რომელიც მათ ჰქონდათ მიცემული, ძალიან უჭირდათ და ზოგი ერთი, როგორც გვითხრეს, იქვე გამოფენაზე ათევდა ღამეს.

---

კიდებლებმა მართლა განიზრახეს „მანიფესტაციობა": შეჰქმნეს ხრინწიანი ყვირილი და სტვენა, მაგრამ გამოჩნდა თუ არა ორი ფიდაი, „მანიფესტანტებს" ენა ჩაუვარდათ და თავგებივით მიიმალნენ თავიანთ სოროებში.

ფეირაზიდან დაწყებული ენზელამდე არსად, არც ერთ ადგილას, ისეთი არა მომხდარა-რა, რომელიც ოდნავ მაინც ამტკიცებდეს ხალხის თანაგრძნობას ან სიბრალულს ტახტდაკარგულ შაჰისადმი, თუმცა თვით ექს-შაჰი და მისი ახლობელნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სპარსეთის მოქალაქენი გონს მოვლენ, საბოლოოდ არ გაგვიმეტებენ და, ვინ იცის, შეიძლება გზიდანაც დაგვაბრუნონო. მაგრამ ეს მცირე და უკანასკნელი იმედიც გაუცრუვდათ: ქვეშევრდომნი არსად სჩანდნენ და მათ მაგიერ სადგურებზე ყველგან „საზიზღარი" ფიდაები ეჩხირებოდნენ თვალში საშიშ მაუზერებით.

აი, ასეთ „უტყუარ" ცნობებით ასაზრდოებს „ნ. ვრემია" რუსეთის „პატრიოტთა" იმ ნაწილს, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ, ხელთ უპყრია დღეს რუსეთის შინაურ და საგარეო პოლიტიკის სადავეები. ერთად-ერთი მათი მისწრაფება და მიზანი ესაა: ცრუ ან დამახინჯებულ ფაქტების წყალობით ხელი მოითბონ. მდგომარეობა გაამწვავონ და მით უზრუნველჰყონ თავიანთი უმზგავსი გულის ნადები—უცხოელთა ჩარევა სპარსეთის შინაურ საქმეებში. მაგრამ რუსეთის განდიდების ბრმა მოტრფიალეთ ნუ დაავიწყდებათ, რომ სპარსეთი უენო პირუტყვი არაა და რომ იგი უხმოდ არ მიუშვერს კისერს მის დასაკლავ დანას, რომლის გაჭედასაც ასე გულმოდგინებით სცდილობენ „ნოვოე ვრემია" და მისი ამყოლ-დამყოლნი!

„ჩვენ სრულიადაც არა გვსურს უმიზეზოდ რუსეთის გადაკიდება,— მითხრა „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტის ერთმა გავლენიანმა წევრმა:—არა გვსურს, რადგან ჩვენ, ახალგაზდა სპარსელებს, კარგად გვესმის, რომ მომავალში სპარსეთსა და რუსეთს, როგორც საუკუნო მეზობლებს, ბევრი რამ საერთო ექნებათ გასაკეთებელი, რომელიც უსათუოდ მეგობრულ განწყობილებას მოითხოვს და არა უნაყოფო შუღლს; მაგრამ, თუ არ დაიშლიან და განაგრძობენ იმ აგრესიულ პოლიტიკას ჩვენ წინააღმდეგ, რომელსაც დღესა ვხედავთ, მაშინ ჩვენც მეტი აღარა დაგვრჩენია რა, რომ თავი გამოვიდოთ"...

ასევე ფიქრობს დღეს არა მარტო „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტი, რომელმაც დაარსების დღიდანვე დიდი სიმპატია მოიპოვა ხალხში, არამედ ყველა ის, ვისაც სამშობლოს კეთილდღეობა სხვის საექვო მეგობრობაზე არ გაუცვლია. და თუ დღეს ქვეყანა სდუმს, სდუმს იმიტომ, რომ შინაურ ბრძოლით მოქანცულს, აქტიურ წინააღმდეგობის ძალა არ შესწევს. ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა: „დათვი რომ მოგერიოს, ბაბა დაუძახეო".

**ვეზირიძე.**

---

# პატარა არაბესკები

5.

### დიალექტური მეთოდი.

ვ. ჩერქეზიშვილი რომ მეჯლეფართა ნიდაბ-აფარებული იდეოლოგია და არა „გარუსებული ინტერნაციონალისტი", როგორც იგი თავის თავს უწოდებს, ეს ალბად ჩემზე ადრე „მთავლის" რედაქციაში აღმოაჩინეს და დარწმუნებულიცა ვარ აქ მე პრიორიტეტს ჩემი მეტოქენი არასოდეს არ დამითმობენ. მაგრამ ის აღმოჩენა კი, რომ „**მწარე სინამდვილის" ავტორი თანამედროვე მეცნიერებას ჩამორჩენია,** სავსებით მე მეკუთვნის და აქ პირველობას არავის დავუთმობ. ამ გარემოებას აქ საჯაროდ და ყველას საყურადღებოდ ვაცხადებ, „მიტომ რომ **თუ რაჟდენიძე ამიხირდა** (ჩვენი რობერტ პირი, რომელმაც კაპიტალისტურ მეურნეობის „უმწვერვალესი პოდიუმი" გლადსტონში აღმოაჩინა) და ჩემს „ისტორიულს უფლებაში" შემედავა, რაიმე უსიამოვნება მოხდება, ჩემი ამ საქმის დათმობა-კი არ იქნება.

როგორც ყოველი კეთილ-სინდისიერი აღმომჩენი, ისე მეც, რასაკვირველია, ვალდებული ვარ ჩემი პრიორიტეტის გასამტკიცებლად თვალსაჩინო და შეურყეველი საბუთები მოვიყვანო და აგრეთვე დავამტკიცო, რომ თვით აღმოჩენა ჭაერში კი არა ჰკიდია, არამედ მტკიცე ნიადაგზე სდგას. ამის შესახებ ქვევით მოსდევს რამდენიმე პუნქტი.

**ყოველი თანამედროვე მეცნიერი აზროვნებს და მსჯელობს დიალექტიურად!** დიალექტიურ აზროვნების დედაარსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ის წინასწარმეტყველურის შორს-მხედველობით არსებულში სპერეტს და აღიარებს არა-არსებულს, ხოლო არა-არსებულში—არსებულს. ამას გარდა: ის ადასტურებს სწორედ მაშინ, როცა უარჰყოფს და უარჰყოფს მაშინ, როცა ადასტურებს. ეს მეტის მეტად ღრმა აზრია და საჭიროა ის სხვა უფრო პოპულიარულ ფორმებში გამოვთქვათ, რათა მკითხველმა იგრძნოს მასში „გენიალობა" (ახალი სიტყვაა: ფეოდალურს ენაზე იწოდების „გენიოსობად").

წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ იმ სწორედ რომ შესაბრალისს არსებათა ჯგუფს ეკუთვნით, რომელნიც თავიანთ თავს ფედერალისტებს უწოდებენ და გონებრივ სიბეცისა და სიბრმავის გამო, რომელიც ადამიანთა ამ მოდგმას ახასიათებს, საჯაროსა და ჯურმაში ვერ **ამჩნევთ ვერც იმ უზარმაზარ ქარხნებს,** ვერც იმ საქსოვ მანქანებს, ვერც მსხვილ ქართველ ვანდერბილტებს, ვერც მრავალ-რიცხოვან მრეწველ პროლეტარიატს, ამ ჩვენი ერის უდიდეს, უმნიშვნელოვანეს და უგანათლებულეს ნაწილს. ეს თქვენ იმიტომ მოგდით, რომ გაკლიათ დიალექტიური მოქნილობა აზროვნებაში და მარქსისტული სინარნარე უნოსვათა შთაბეჭდილებების შეთვისებაში. თქვენ აზროვნებთ მეტაფიზიკურად, თქვენ ყოველსავე მოვლენას გაყინულს ფორმებში ითვისებთ. **რა შემამსუბუქებელი საბუთები შეგიძლიანთ მოიყვანოთ თქვენის არსებობის გასამართლებლად?!** (აქ საჭიროა პროკურორის ტონი და მიხვრა-მოხვრა, რაც მე სამწუხაროდ მაკლია).

ან კიდევ: თქვენ ძველ ჩვეულებისამებრ მოსთქვამთ, წუწუნებთ და ნიანგის ცრემლებს აფრქვევთ იმ გვალვის გამო, რომელმაც ჩვენს გლეხობას კარზე შიმშილი მიუყენა. აქ თქვენ წვრილბურჟუაზიულ-კონსერვატიულ-ფედერალისტურ სიტლანქით და აგრეთვე კლერიკალურ-ფეოდალურ-რეაქციონურ მოუხეშავობით (ამის შემდეგ თქვენი გამართლება ყოვლად შეუძლებელია!) მხოლოდ უარჰყოფთ მოვლენის მნიშვნელობას და ვერ ამჩნევთ მის დადებითს მხარეს, ე. ი. იმას, რომ გვალვა და შიმშილი აპროლეტარებს გლეხს და, მაშასადამე, ხელს უწყობს დახავსებულს ნანგრევებზე ახალ ცხოვრების წარმოშობას. ამგვარად **ბოროტება ხდება სიკეთედ და სიკეთე ბოროტებად,** როგორც სთქვა ერთმა ჭკვიანმა ეშმაკმა გერმანულად.

რაც შეეხება ბ-ნ ვ. ჩერქეზიშვილს, მან თავისი სიბეცე და უხიფხობა აზროვნებაში ჯერ კიდევ მაშინ გამოაშკარავა, როცა დაამტკიცა რომ კარლ მარქსის და ფ. ენგელსის თავიანთი „კომუნისტური მანიფესტი" კონსიდერანის „დემოკრატიულ მანიფესტიდან" გადაუწერიათ სიტყვა სიტყვით. სასაცილოა ღმერთმანი! მერე რა, რომ გადაუწერიათ: „დიალექტიურის თვალთახედვით" კონსიდერანი და მისი მანიფესტი 1847 წელს თუმცა არსებობდა, მაგრამ თან არც არსებობდა ერთსა და იმავე დროს, ანუ პო,ულიარულად რომ ვთქვათ გაკოტრებული იყო. კანონის ძალით კი მემკვიდრეებს სრული **უფლება ეძლევათ** გაკოტრებულთა და პატივახდილთა **დავთრებიდან საჭირო ცნობები და ანგარიშები ამოიწერონ.** ამას ბევრი „იურისპრუდენცია" არა სჭირია მგონი.

ეხლა კიდევ: „ჩვენს ეროვნულს სიმდიდრეს რუსის ბერები დაჰპატრონებიან და სჭამენო". მერე რა, რომ დაჰპატრონებიან და სჭამენ (უარყოფა მოვლენისა)! სამაგიეროდ, ისინი ქართველს ერს უზრდიან რაჟდენიძეებს და სხვა მის მსგავსს თანამედროვე მოღვაწეებს (დადასტურება იმავე მოვლენისა) და ამ მათ **ღვაწლს არასოდეს არ დაივიწყებს მოაზროვნე და მებრძოლი კაცობრიობა.**

საბრალო მოხუცი, რომელიც ძლიერ ადრე დაბადებულა, რომ ჭკუა ჩვენი განმანათლებლებისგან ესწავლა. **გ. ქ.**

# სტუდენტების მოვალეები

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მოგვცეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ერთხელ კიდევ მოვაგონოთ ხარკოვის ქართველ თანამემამულეთა წრის მოვალეებს თავიანთი ვალდებულობა.

ყველამ კარგად იცის, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ქონების მხრივ მოსწავლე ახალგაზდობა და მეტადრე სამშობლოდან გარდახვეწილი, ნაცნობ-მახლობლებს დაშორებული ქართველი სტუდენტობა. ეს გარემოება მეტადრე გამწვავებულია ეხლა, როდესაც უნივერსიტეტის მთავრობა დაუყონებლივ ითხოვს ლექციებისა და უნივერსიტეტის სასარგებლოდ ფულის შეტანას. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება ბევრი ჩვენგანი დღეს თუ ხვალ უნივერსიტეტის კარებს გარედ დარჩეს და ბევრს სემესტრთან წელიწადიც დაეკარგოს. ჩვენი მოვალეები კი ამას ძლიერ გულგრილად უყურებენ, ყურს იყრუებენ, თავიანთსავე ამ გვარ მდგომარეობას სრულიად ივიწყებენ და უცდიან იმ დროს, როცა თავზე საყარად ზედ მეტი დაურჩებათ!

ამით კიდევ გვსურს გავახსენოთ ჩვენ მოვალეებს იმ დროის მდგომარეობა, როცა ისინი თვითონ სესხულობდნენ ფულს წრისაგან. იქნებ წარმოიდგინონ ეხლანდელი ჩვენი ამხანაგების გაჭირვება და მოგვაწოდონ, რამდენიც შესაძლებელი იქნება, თავიანთ ვალიდან შემდეგის ადრესით: г. Харьковъ. Дѣвичья N 10, К. Дзнеладзе.

ამხანაგ. მონდობილობით **დ. ქანქლაძე.**

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს ამბავი. **დ. ქ.**

# მოწერილი ამბები

**სოფ. ქვემო-ნიქოზი.** (გორის მაზრა) არ იქნა, არ დაიშალეს საზიზღარმა ქურდ ბაცაცა მანტაყისტებმა თავიანთი უზნეო საქციელი და კვლავ განდებურად სოფლის ღარიბ-ღატაკ ოჯახებს მოულოდნელად თავს ესხმიან, შიშის ზარსა ჰგვრიან და არბევენ-აწიოკებენ. რაც მოჰხვდებათ ხელში, უმნიშვნელო ბავშვის ჩვარიც კი, თან მიაქვთ. ამ სექტემბრის 22 ს, შუაღამისას, რამდენიმე შეიარაღებული უცნობები თავს დაეცა ქვემო-ნიქოზის მცხოვრებს გიორგი კაპანაძეს (სასულიერო პირია). თვით კაპანაძეს იმდროს თავის სახლის აივანზე სძინებია, წამოუგდიათ ზეზე, და მფრთხალი ნამძინარევი კაცი აქეთ იქით მიუხეთქ-მოუხეთქებიათ და შეუყვირიათ, ჩქარა სახლის კარები გააღებინე, ხმა-კრინტი არავინ დასძრათ, თორემ დიდ-პატარამდის ყველას ამოგწყვეტავთო. მათი ღრიანცელი და ჯაჯღური კაპანაძის ცოლშვილს ოთახში გაუგონია და ბღავილ-ტირილით დედისმობილანი ლოგინებიდან წამოვარდნილან. გარედან პასუხი დაუძახნიათ, კარი გააღეთ, ნუ გეშინით, ჩვენა ვართ, პოლიციელები; თქვენ დაბეზღებული ხართ, ვითომ იარაღი გაქვთ; პოლიციელის წესისამებრ, გაგჩხრეკავთ და თუ ვერასფერს აღმოვაჩენთ, ისევ ჩვენის გზით წავალთო, კარებიც გაუღიათ. კარების გაღებისთანავე ორი ბოროტ-გამზრახველი შევარდნილა სახლში. პირველს სცმია პოლიციელის ტანისამოსი და ხელში სჭერია ბერდენა, მეორე კი ყაბალახ-ნაბადში ყოფილა შეხვეული, ხოლო ხელში სჭერია კაზიონი რევოლვერი. კინწის კვრით თვით გიორგი კაპანაძეც შემოუგდიათ. კარში მდგომ დანარჩენ ამხანაგებისათვის დაუძახნიათ, ვინც მოჭაჭანდეს, მაშინვე ესროლეთ და მოჰკალითო. შემდეგ შესდგომიან მართლადაც პოლიციურის წესით და რიგით ოთახების ჩხრეკა-თვალიერებას. კაპანაძის ავადმყოფი ცოლშვილი (ერთს გაუნელებელი ცხელება აქვს, მეორეს კი საოფლე) ერთად აბუზულ აკანკალებული შესცქეროდა დაუპატიჟებელ სტუმრების მოქმედებას. როცა კი კაპანაძის ოჯახის ავლა-დიდება მთლად დედა-ბუდიანად დაუთვალიერებიათ, მოულოდნელად ერთ მძარცველს ბერდენის ტუჩი მიუბჯენია გულზე კაპანაძისთვის და შეუყვირნია—ჩქარა, ათი თუმანი ფული მოიტა ყოველ უარის უთქმელად „ტეის ხალხის" სასარგებლოდ, თორემ ეხლავ გაგათავებთო, ამ სურათის დანახვაზე კაპანაძის ცოლშვილი ბღავილით მძარცველების წინ მუხლებზე დაცემულა და დაუწყვიათ ვედრება: შეხედეთ ღმერთს, ვინ მოგვცა ათი თუმანიო. მაშ არც ხუთი თუმანი გაქვთო, გაქვთ, მაგრამ გვიმალავთო.. მძარცველები ხელმეორედ შესდგომიან ჩხრეკას და რაც კი უნახავთ, სულ ერთიან კარში გაუზიდნიათ და გადაუციათ თავიანთ ამხანაგებისთვის. ტანისამოსის შკაფი მთლად დაუცლიათ. თითქმის ერთ საათს უტრიალნიათ სახლში თუ ეზოში და მერე სადღაც მიმალულან მთელი ოჯახი უტანისამოსო დარჩა. ასეთ სისაძაგლეს ჩადიან ეს ვაჟბატონები. გიორგი კაპანაძე დიაკვანია და აბა თქვენ თითონ გასაჯეთ, რა უნდა ჰქონდეს დიაკვანს, რომ კაცი მიუვარდეს!.. კიდევ კარგი, რომ სიცოცხლეს მაინც არ გამოასალმეს 60 წლის მოხუცი, რომელიც წელებზე ფეხს იდგამს და ძლივ-ძლიობით აცხოვრებს ცოლშვილს. უსახსრობის გამო შვილებისათვის ვერ უსწავლებია და სახლში ჰყავს.

ამ ამბის გაგონებაზე სოფელში ასტეხა ზარის რეკა. სოფლელნი დიდ-პატარამდის ფეხზე დადგნენ. ადგილობრივ ბოქაულსაც შეატყობინეს მაგრამ მტარვალებისა ვერაფერი გაიგეს.

**არწივი.**

—

**დ. უვირილა.** 10 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, სახსხო მატარებლით მიასვენეს უვირილაში გრიგოლ ვოლსკის გვამი. ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გვირგვინით თოხნობით ვაგონში [illegible] დევ. დ. ღამბაშიძის მიერ აქაურთა და ჭირისუფლთა თანა დასწრებით. პანაშვიდის შემდეგ ე. იოსელიანმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა. გათავდა თუ არა სიტყვა, მესამეც დარეკეს და დაიძრა მატარებელი.

უვირილის განყოფილებას აზრადა აქვს ამ დღეებში გამოითხოვოს ნებართვა, ვისკანაც ჯერ არს, საკვირაო სკოლის გახსნის შესახებ. საზოგადოებას 28 ივლისის დადგენილებისამებრივ ადგილობრივ განყოფილების გამგეობა იმედოვნებს, რომ ბ-ნნი ვ. საყვარელიძე და კ. ნხეიძე გადაუხდიან ვალს საზოგადოებას და მათ ნივთიერად ცოტათი მაინც გაღონიერებენ. საჭიროა აგრეთვე ვისაც საწევრო ფული მთლად არა აქვს ამ წლისა შეტანილი გადაიხადოს, ხოლო ვინც წევრი არ არის, ჩაეწერება ამ სიმპატიურ დაწესებულებაში. **ა. ე—ი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 8 ოქტომბერს, „მედეას" ნაცვლად, რომელიც კვირისათვის გადაიდო, ქართულმა დასმა გაიმეორა ლეონიდ ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენის ცხოვრებისა".

10 ოქტომბერს გაიმართა ჩვეულებრივი სახალხო წარმოდგენა. ითამაშეს ჩირიკოვის პიესა „ებრაელები". ამ პიესაში ყველაზედ უფრო საყურადღებო და ძლიერი უკანასკნელი მოქმედებაა. პირველი სამი მოქმედებაკი მეტად ერთფეროვანია, ალაგალაგ მძიმე მოსასმენი და მოსაწყენიც. ამას ზედ დაერთო ზოგიერთ მსახიობის უგულო თამაშიც, როლის სუსტად ცოდნა, უადგილო დიდი პაუზები. ხშირად ისე გაჩუმდებოდნენ ხოლმე მესაუბრენი, თითქოს დამუნჯდენო და ბოლოს ერთის სათქმელს მეორე წამოიძახებდა... თავის ადგილზე ამ საღამოს იყვნენ მხოლოდ ბ-ნი გუნია და ქ-ნი დავითაშვილისა. მართალია, სიონისტ ნახმანს (ბ.ნი გუნია), რწმენით გატაცებულს, ფიცხს, პირდაპირს და თავის ხალხისთვის თავდადებულს, არ შეჰფეროდა და არც შეუძლიან მძიმედ, მოდუნებით ლაპარაკი, მაგრამ ალაგ-ალაგ ბ-ნი გუნია მეტად ფიცხი გვეჩვენა. განსაკუთრებით პირველ მოქმედების დასაწყისში. ლიას როლში ქ-ნი დავითაშვილისა მშვენიერება იყო. მესამე მოქმედებაში იგი ჰბედავს და უმხელს თავის მოხუცს მამას ლეიზერს (ბ-ნი ყალაბეგიშვილი), რომ მას უყვარს ქრისტიანი ბერეზინი. ქალის აღსარება მოხუცს თავზარსა სცემს. ამ დროს გამოჩნდება თვით ბერეზინიც. ლიამ თვითონაც არ იცის, ვინ უფრო უყვარს—მამა თუ საქმრო, იგი ვერ უძლებს ორი გრძნობის ერთად შეჯახებას და მღელვარებისაგან გული უღონდება. ეს ადგილი მსახიობმა მეტად მშვენივრად ჩაატარა.

ბ-ნ ყალაბეგიშვილს ლეიზერის მძიმე როლი ჰქონდა ნაკისრი. ამ როლს უკედ დასძლევდა იგი, რომ როლი უფრო მკაფიოდ სცოდნოდა. საქმეს აჭირებდა ქუდიც. მღელვარება-მრისხანების დროს წაივლებდა ხოლმე კეფაზედ ხელს, თითქოს ქუდის გადავარდნისა ეშინიანო.

იზერსონის პაწია როლში ბ-ნი იმედაშვილი ჩვეულებრივად კარგი იყო. ბ-ნი მურუსიძეც საკმაოდ უფერული იყო ამ საღამოს. მეორე ხარისხოვან როლებში, ბ-ნ ნემოს გარდა, ყველანი მეტად სუსტობდნენ. ბ-ნი ნემო გაზეთის დამტარებელ სრულის როლში „სრული" იყო. ამ საღამოს როლიც იცოდა და არც აჭარბებდა ჩვეულებრივად. ყველაზე სუსტი ამ საღამოს... პირველად გამოსული ბ-ნი კობახიძე იყო ბორუხის როლში. არავითარი სასცენო ნიჭის ნასახი ჯერ-ჯერობით ამ მოთამაშეში არა სჩანს. სუსტი ენა, ლაპარაკის დროს მთელი ტანის რხევა, უადგილოდ მედიდურობა და თავდაუჭერლობა. ალბად, სხვა არავინ ჰყავდათ, თორემ ამგვარი გამოუცდელი მოთამაშე, პირველ ხანებში მხოლოდ უსიტყვო როლებში უნდა გამოუშვან ხოლმე, რომ სცენას შეაჩვიონ.

ქართული სცენის ეხლანდელი სუფლიორი ბ-ნი მარჯანიშვილი მეტად გამოცდილ და დახელოვნებულ სუფლიორად ითვლება. წლევანდელ სეზონში მისი ხმა არ გამეგონა, ამ საღამოს-კი ზოგიერთების პაუზებმა ისე გააფუჭა საქმე, რომ სუფლიორს ხმა მაღლა ძახილი დასჭირდა. ბოლო მოქმედება—აწიოკების სურათი კარ-

გი იყო და შესაფერი შთაბეჭდილებაც მოახდინა.

პიესის სამივე მოქმედება ერთსა და იმავე სცენის მოწყობილობას თხოულობს. მიუხედავად ამისა, ანტრაქტები ჩვეულებრივზე მეტხანს გაგრძელდა, რის გამოც წარმოდგენა შედარებით გვიან გათავდა.

ხალხი ორსავე წარმოდგენას საკმაო დაესწრო, განსაკუთრებით პირველს. მეორე წარმოდგენას უმთავრესად ებრაელები დაესწრნენ. სხვა დროს-კი ებრაელთა ძლიერ ცოტა ნაწილი დაიარება ქართულს წარმოდგენაზე. ვფიქრობთ, ჩვენს მეზობლებს, ებრაელებს, მარტო „ებრაელები“ არ უნდა იზიდავდეს. მათი შეგნებული ნაწილი სხვა დროსაც უნდა სწყალობდეს ხოლმე ქართულ წარმოდგენებს...

**ჯაფარ-ფაშა.**

—

**აბაშა.** ამას წინად აბაშაში სუჯუნის სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენილ იქნა „სიმდიდრის მსხვერპლი“ და ვოდევილი „მონადირე“. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. სცენის მოყვარენი სუსტობდენ როლების ასრულებაში. არა უშავდათრა თევზაიას—ზახარის როლში, ს. სულაქველიძეს—ექიმის როლში, ვ. დავითაიას—ექიმის როლში, ს. კუხალეიშვილისას ქეთევანის როლში, უ. გვიჩიას—მონადირის როლში. სუსტობდნენ ჯაყელი — დათიკოს როლში და გ. მატკავა—თამარის როლში.

მადლობის ღირსნი არიან როგორც ესენი ისე სხვები ამ წარმოდგენის გამართვისაც. სამწუხაროდ, ხარჯი ძალიან დიდი იყო. სახლის პატრონმაც ხელი არ შეუწყო: 12 მანეთად იყო გარიგებული, მერე-კი ორი დღის წინ, 20 მან. მოითხოვა. სამტრედიაში თუმნადაა რკ. გზის თეატრი თავის მოწყობილობით. აქ-კი ცარიელ კედლებში სახლის პატრონმა ოცი მანეთი მოითხოვა!..

**საბაშვილი.**

—

**ქუთაისი.** სუვორინის და ბურენინის პიესა, მართალი მოგახსენოთ, არ წამიკითხავს, მხოლოდ ის, რაც ქუთაისის სცენაზე გვაჩვენეს, მეტად შეკვეცილი უნდა იყოს, თორემ ასე გულნაკლულად არ წავიდოდა თეატრიდან ბლომად შეკრებილი ხალხი. მეც, ერთი ამათგანი, სახტად დავრჩი, როცა ფარდა ჩამოეშვა უკანასკნელად. ნუ თუ, ვფიქრობდი, ეს ის პიესაა, რომელსაც გული მძლავრად უნდა აემგერებინა? ნუ თუ ეს ის პიესაა, რომელსაც უმაღლესს სიბრალულით უნდა აევსო ჩვენი გული მედეას მიმართ? და ამ შეკითხვის უარ-ყოფის ნიშნად თავს ვაქნევდი. პიესამ ვერ მოახდინა მთლიანობის და მოქმედების განვითარების შთაბეჭდილება. სცენაზე ტრიალებდა გაафთრებული მედეა, ცენტრალური მომქმედი პირი ამ პიესისა, ხოლო სხვები აჩრდილივით თან ახლდნენ იმისთვის, რომ პიესა მონოლოგად არ გადაქცეულიყო. ამიტომ გასაკვირველი არ იყო, რომ მთელი ყურადღება მიქცეული იყო ქ-ნ ჩხეიძეზე, რომელიც მედეას როლს ასრულებდა. ის, რაც სცენაზე გვაჩვენეს, ქ-ნმა ჩხეიძემ უნაკლულოდ ჩაატარა. მან გვაჩვენა ვეკლამაციის უნარი, რაც იშვიათია ქართულ სცენაზე; მანვე არა-ჩვეულებრივის სიძლიერით დაგვიხატა უარ-ყოფილ ქალის გულის ტკივილი და დედობრივ გრძნობაში შელახული დედაკაცის გაბოროტება, რომელმაც შვილებიც გამოიმეტა. ყოველივე ეს კარგი იყო, მაგრამ ფიზიკურად სუსტმა არტისტმა თვალ-საჩინო სიძლიერით ვერ გამოხატა ყოველივე ეს და ამიტომ ვერც შესაფერი შთაბეჭდილება იქონია მსმენელზე.

სხვა მოთამაშეებზე რა მოგახსენოთ. ჯერ ერთი ყველა უგულოთ თამაშობდა, თითქო ძალ-დატანებულ მოვალეობას ასრულებსო და მერე არც როლები იცოდნენ მაინცა და მაინც კარგად. ქ-ნმა დავითაშვილმა, ბ-ნმა იმედაშვილმა და სხვებმა ამ დღეს დაგვანახვეს, რომ თუ გული არ გულობს, ქადის ჭამაც კი ძნელი საქმეა. ბ-ნ იმედაშვილისთვის კიდევ ისეთი ქუდი დაეხურათ, რომ თავის მცირე დახრა საკმაო იყო, რომ გადმოვარდნილიყო, და სულ იმის ფიქრში იყო, ეს მარცხი არ დამართნოდა. ბ-ნ დადიანს მეფისათვის შეუფერებელი ტანისამოსი ეცა და არც მისმა თამაშმა დაგვაკმაყოფილა.

მასსიურს სცენებს არა უშავდათ-რა, მხოლოდ პირველ მოქმედებაში. მეოთხე სურათში სასახლეს ცეცხლი ეკიდება. აქ კი ოდნავ შეწითლდა სასახლის ცალი კედელი და ფარდა ნაადრევად ჩამოეშვა. ქუხილი სრულიად არ გვივარგა (ალბად, ზაფხულის გავლენამ იქონია გავლენა), სამაგიეროდ ქარი ისეთი ჰქრის მთელს დარბაზში, რომ დეკორაციებს ფოთოლივით არხევს ხოლმე და პარტერის პირველ რიგებში ან გასავალ კარებებთან მდგომთ გვერდებში ცივ ნიავი უვლით.

უკანასკნელ მოქმედებაში შეუწყნარებელი შეცდომა ჩაიდინეს. სასახლის ცეცხლის წაკიდების შემდეგ „მედეა“ თავის შვილებით დასამალავად გარბის, მაგრამ მდევარნი მთებში წამოეწევიან. სანამ სცენაზე მდევარნი შემოიჭრებოდნენ იაზონის მეთაურობით, დედა შვილებითურთ მოასწრობს სერზე გადასვლას. ცოტა ხნის შემდეგ მდევარნიც სწორედ იმ გზით უკან გამოუდგებიან. ეს ვსთქვათ, არაფერი, შესაძლოა, მაგრამ იმავე გზიდან, იმ სერიდან, სადაც ძლივს მიიმალა უკანასკნელი მდევარი, თავს ამოჰყოფს „მედეა“ თავის შვილებით. ეს შეუძლებელია. განა არ შეიძლებოდა სხვა გზიდან გამოსვლა სცენაზე? ამ არა ბუნებრივმა სანახაობამ ყელი გამოსჭრა შთაბეჭდილებას.

„მედეას“ ვურჩევთ: როდესაც იგი თავს იკლავს შვილების სისხლით შეღებილ ხანჯლით, ხანჯალს იატაკზე ნუ გადაისვრის, რადგან ხის ხანჯალს იატაკზე დავარდნის დროს ფირფიტა ნაფოტის ხმა აქვს...

თეატრი ხალხით იყო სავსე. პარტერში ინტელიგენციის წარმომადგენელნიც დავინახეთ. ეტყობა ნელა-ნელა ეჩვევიან თეატრს და ცხვირის ახვევით აღარ ლაპარაკობენ ქართულ წარმოდგენებზე. მადლობა ღმერთს!

ხალხი წესიერებას ეჩვევა თეატრში, ოღონდ იმას ვერ შეეჩვია, რომ ფარდის ახდაზე თავ-თავის ადგილზე იყვნენ. ხშირად სცენაზე მოქმედებაა და ამ დროს კი ადგილებს ეძებენ. მეორე ნიშნის შემდეგ რომ ყველამ თავისი ადგილი დაიჭიროს, ეს უწესოებაც მოისპობა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ ჩვენი დასი კომედიებს ერიდება. აქა-იქ გავიგონე სამდურავი, რომ დრამებმა სული ამოგვართვეს და კარგი იქნება, კომედიაც გვაჩვენონო.

—

**კონცერტი.** დღეს, 14 ოქტომბერს, ქართულ თეატრში გაიმართება კონცერტი **ვანო სარაჯიშვილისა.** კონცერტში მიიღებენ მონაწილეობას სხვა არტისტებიც.

## გრიგოლ რობაქიძის ლექცია

შაბათს, 24 ოქტომბერს, ქართულ თეატრში გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე: „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. მოგვყავს აქვე პროგრამმა ლექციისა:

1

შესავალი. ორი სახის მხატვარი: ერთი, რომელიც იქცევა სხვა და სხვა სახედ, რომ მათში ცხოველჰყოს საკუთარი სახე; მეორე, რომელიც ხსნის საკუთარ სახეს, რომ აქციოს იგი სხვა და სხვა სახედ. პარალლელი: შექსპირი და ბაირონი. ბარათაშვილი მეორე სახის მგოსანთა ჯგუფს ეკუთვნის. მისი მხატვრული ნაკვთი მისი სულიერი განცდის ნაკვეთია: მისი პოეტური შემოქმედება მისი სულიერი დრამაა.

მთავარი მოტივი ბარათაშვილის ლირისა, შედარება: თარის ხმა როგორც წარსულის ამოკვნესა, მაგალითი: ყოფილი და თანამედროვე ელლადა; წარსული აღვიძებს რომანტიულ გრძნობას მარადისობისას; აწმყო—საშინელს ფიქრს ცხოვრების ამოებისას. გრძნობა მარადიულისა და ფიქრი წარმავალისათვის—აი მთავარი ჰანგი მგოსნის ჩანგისა. ლექსი: „ფიქრი მტკვრის პირად“.

2

ბარათაშვილი ცდილობს სიყვარულში იპოვოს ხსნა. ლექსები: „შევიშრობ ცრემლსა“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „ბულბული ვარდზე“. სიყვარული მისთვის უზენაესი მსხვერპლია. სხეულება და სულიერება სიყვარულში. ბარათაშვილი სქესური სიყვარულის სფეროში ხედავს იმავ წარმავალობას, იმავ ამაოებას,—და სულიერი დრამა მისი ღრმავდება.

მგოსანი მარტოდ რჩება. ლექსი: „სული ობოლი“. პრობლემა მარტოობისა და ფილოსოფია განდგომილობისა. ყოველისგან განდგომილი, მგოსანი ბუნებას უახლოვდება; ხოლო იმგვარ ბუნებას კი, რომელიც მასში აღვიძებს მისი ლირის მთავარს მოტივს: მტკვარი და მთაწმინდა—აი მისი მეგობრები. ლექსი: „შემოღამება მთაწმინდაზე“.

3

ბუნებასთან დაახლოვება ვერ სწყვეტს მარტოობასა: მას ხსნის მხოლოდ რელიგია, ერთგვარი ზებუნებრივი ცდილება. ბარათაშვილი ვერ ასცილდა ბუნებასა და რჩება ყოველს მოწყვეტილი. გარშემომცველი ქართველობა მას ვერ აკმაყოფილებს: იგი იმავ ამაოებას უღვიძებს მას ამაოება ეხლა მას გაპიროვნებული სახით ევლინება. ლექსი: „სულო ბოროტო“. სული ამაოებისა სწამლავს მგოსანს მაშინაც კი, როცა იგი შემოქმედების ტაძარში სამსხვერპლო-სამლოცველოს ჰქმნის. ლექსი: „ვპოვე ტაძარი“.

ბარათაშვილის სულის კვეთება მის საზოს წარკვეთად იქცევა. იგი მოსწყდა მსოფლიოს და უფსკრულში უნდა შთაინთქას. ამ თავისმკვლელობის წინ იგი უხმობს თ-ვის პოეტურ ფანტაზიას, თავის მერანს, რომ ქვესკნელში გადაფრინდეს. ლექსი: „მერანი“.

პარალლელი: ბარათაშვილი და ბაირონი.

დასკვნა: ბარათაშვილი და ქართველობა.

ვიდრე ლექცია დაიწყებოდეს, ბ-ნი ივ. გომართელი წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. ნიკოლოზ ერისთავი წარმოსთქვამს პოეტის რამდენსამე ლექსს.

## აფთიაქის შეგირდების საყურადღებოდ

(წერილი რედაქციის მიმართ)

როგორც „ოდესკი ნოვ.“ (№ 7930) გადმოგვცემს, მთავარ სამკურნალო საბჭოს ცირკულიარი გამოუცია, რომლის ძალითაც აკრძალულია აფთიაქის შეგირდების სამსახურში მიღება. მე მინდა ამ შენიშვნას მივაქციო ყურადღება იმ ხელმოკლე ახალგაზდებმა, რომელნიც ემზადებიან აფთიაქისთვის და სანამ საკითხი საბოლოოდ გამოირკვეოდეს ტყუილი ხარჯი არ გასწიონ მომზადებაზე, ან და დაწვრილებით გაიგონ საქმის ვითარება ადგილობრივ საექიმო განყოფილებებში, რომ შრომამ უქმად არ ჩაუაროთ.

მიზეზი, როგორც გაზეთი გადმოგვცემს, ისა ყოფილა, რომ ახლა მუშავდება საკითხი შესახებ სპეციალურ კურსების დაარსებისა აფთიაქის შეგირდებისათვის.

**მ. მდივანი.**

## სასამართლო

### თავ-დასხმა.

1908 წ. 10 დეკემბერს სოფ. მაჩხაანში (ქიზიყი) სამი შეიარაღებული კაცი თავს დასცემია სიმონ ბენაშვილს. მათ იარაღით ხელში მოუთხოვნიათ ფული. შემდეგ წაუღიათ სხვა და სხვა ნივთები, ფული და თვით ბენაშვილი კი დაუჭრიათ. ეჭვით დაუპატიმრებიათ წარიმან ბეგიაშვილი, ილია ჯალიაშვილი და კოლა გვერდაშვილი და პასუხის გებაში მიუციათ. ოლქის სასამართლოს გაურჩევია ეს საქმე და მიუსჯენია ხუთ-ხუთი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ბრალდებულთ ოლქის სასამართლოს ეს განაჩენი განუსაჩივრებიათ სამოსამართლო პალატაში.

პალატამ ეს საქმე 13 ოქტომბერს, განიხილა, დამნაშავედ იცნა ბრალდებულნი ბეგიაშვილი, ჯალიაშვილი, გვერდაშვილი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

### ეკლესიის გაძარცვა.

ამავე დღეს პალატამ განიხილა სააპელაციო საჩივარი ზემოდ დასახელებულ პირების—ბეგიაშვილისა, ჯალიაშვილის და გვერდაშვილისა,—რომელთაც ჰბრალდებოდათ 1908 წ. 11 დეკემბერს სოფ. ჯუგაანის ეკლესიის გაძარცვა და გატანა იქიდან ბარძიმ-ფეშხუმისა, სხვა და სხვა ვერცხლის ნივთებისა და ფულისა. ოლქის სასამართლოს მიერ მათ მისჯილი ჰქონდათ ექვს-ექვსი წლით კატორგაში გაგზავნა. პალატამ ამ საქმეშიც დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## უცხოეთი

### ფერერის ბიოგრაფია.

უცხოეთის გაზეთები შემდეგ ცნობებს გვაწვდიან ფერერის ბიოგრაფიის შესახებ.

ფერერი დაიბადა 1857 წ. ბარცელონის ახლოს, ალეტაში. იმის მამა ბოჭკების მკეთებელი იყო, შეძლება არა ჰქონდა შვილებისთვის აღეზარდა როგორც ზრდიდნენ ესპანიელი შეძლებულნი. ახალგაზრდა ფერერი კონდუქტორა შევიდა რკინისგზაზე და ამ ხანებში ის რესპუბლიკანურ პარტიას დაუახლოვდა; ერთ დროს პარიზშიაც კი წავიდა, დვინის დუქანი გახსნა და ვაჭრობდა. ბოლოს ვაჭრობას თავი მიანება და გაკვეთილებით ცხოვრობდა. აქვე ფერერი დაუახლოვდა ესპანიის რესპუბლიკელთა მეთაურს რუის ზორილას. ამ 17 წლის წინად გაიცნო ერნესტინა მენიე, ცნობილ არქიტექტორის ქალი, რომელმაც 750.000 ფრანკი უანდერძა ესპანიაში თავისუფალ სკოლების დასაარსებლად.

1901 წ. ფერერი დაბრუნდა სამშობლოში და შეუდგა თავის საყვარელ საქმეს—თავისუფალ სკოლების დაარსებას. ამავე წელში ბარცელონაში კიდეც გახსნა სკოლა. ეს სკოლა მეტად შესანიშნავი იყო. სამ ხარისხად იყოფებოდა: საბავშო ბაღი, პირველ დაწყებითი სკოლა და სკოლა იმათთვის, ვინც სწავლა დაამთავრა საშუალო სასწავლებელში. სწავლება კლერიკალიზმის საწინააღმდეგო მეთოდით სწარმოებდა. ფერერის მეორე ცოლი, რომელიც ქალთა განთავისუფლების გამგედ იყო, ასე ახასიათებდა ფერერის მიზანს: ჩვენი სკოლა ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდობის განვითარებას და ამასთან უნდა ებრძოდეს რეაქციის დრომოჭმულ ძალებს. ჩვენ არც დოგმატები გვაქვს, არც აპრიორული სისტემები. ჩვენ უნდა მივიღოთ მხოლოდ ფაქტებით შემოწმებული დასკვნები და დამტკიცებული თეორიებიო“. სკოლამ დიდი თანაგრძნობა მოიპოვა. სულ მოკლე ხანში ბევრ სხვა ადგილებშიაც განყოფილებები დაარსდა. ესპანიაში ფესვებ გადგმული კლერიკალიზმი მტრულის თვალით უყურებდა სკოლის დაარსებადნვე. თითონ ფერერიც კლერიკალებს საშიშ მტრად მიაჩნდათ. ამ სამი წლის წინად ფერერი პასუხის მგებლობაში მისცეს ვითომდა მეფის მკვლელობის განზრახვისათვის. მაგრამ მაშინ ფერერის ასამართლებდნენ ნაფიცი მსაჯულები და კიდეც გაამართლეს ფერერი. სანამ ფერერი დაპატიმრებული იყო საქმის გარჩევამდე მისი სკოლები უკვე დახურეს და ამით მოსპეს თავისუფალი სკოლის არსებობა ესპანიაში.

### ფერერის დასჯა.

ჯერაც ვერ დამშვიდებულა ევროპისა და სხვა ქვეყნების აღშფოთებული საზოგადოებრივი აზრი. უდანაშაულო ფერერის დასჯამ სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია ყველგან. დემოკრატიულ მიმართულების გაზეთებში სასტიკი პროტესტი გაისმის ჯალათების წინააღმდეგ. მაგრამ არც კლერიკალურ მიმართულების გაზეთები სდუმან. ისინი მთავრობის მხარეზე არიან და ფერერის დასჯას ფრიად სამართლიან სახელმწიფო აქტად სთვლიან. ესპანელი კლერიკალები საყვედურებს უთვლიან ფრანგ რევოლიუციონერებს, თქვენ იმით აგიტაციას ეწევით, რომ ესპანია იძულებული შეიქნება საფრანგეთთან კავშირი გაწყვიტოს და გერმანიას გაუწოდოს ხელიო. კლერიკალებს ბრძოლა ეროვნულ ნიადაგზე გადააქვთ, იმათი აზრით, ესპანიის მთავრობა და ესპანიის ხალხი სინონიმებია. საკმარისია ვინმემ ესპანიის მთავრობა ურიგოდ მოიხსენიოს, რომ კლერიკალებმა ყვირილი მორთონ და ნაციონალურ შეურაცყოფად მიიჩნიონ მთავრობის შეურაცყოფა. ესპანიის რესპუბლიკანური პრესა კი უშიშრად განაგრძობს ჯალათების მხილებასა და გმირობას. გაზეთი „El Rais“ სწერს: „ფერერი დახვრიტეს. მთავრობა დარწმუნებული იყო, დავსჯი ფერერს და ამით მის სახელს სრულებით ამოვშლი მოქალაქეთა სიიდანაო. მაგრამ ფერერის ნეშტი გვეკუთვნის ჩვენ—მთელ კაცობრიობას. თქვენ აღარ შეგვშინდებათ ფერერის უსულო გვამისა, მაგრამ გეშინოდეთ იმის სულისა. გვამი დახვრიტეს—სული კი ცოცხალია და უკვდავია დიდის, ეს სული ნახეს ბარცელონაში, მადრიდში, პარიზსა და ლონდონში, რომსა და ბერლინში. ასიათასობით ხალხი სულ განაბული თვალყურს ადევნებდა ფერერის საქმეს და კიდევაც გაიგონა თოფის ხმა, რომლითაც ფერერი დახვრიტეს. დაინახეს როგორ დაეცა უსულო გვამი და როგორ ამაღლდა მისი სული. მოჰკლეს ის, რაც ფერერში დროებითი იყო, და ამით უკვდავი ჰყვეს მისი სული. ფერერის მტრები აღიგვებიან დედამიწის პირიდან, ბარცელონაც მოკვდება, მაგრამ მისი სული კი თაობიდან თაობაზე გადავა და საუკუნოებით უკვდავი იქნება“.

### ოფიცერთა კავშირი საბერძნეთში.

საბერძნეთის პოლიტიკური ცა თან და თან იღრუბლება. ბალკანეთის ამბების დროს საბერძნეთი დარჩა მარტო, არაფერ სარგებლობა არ ენახავს, პირიქით, იმისი მდგომარეობა იმდენად შეირყა, რომ შესაძლებელია ისიც კი დაეჰკარგოს, რაც მას ეკუთვნოდა—შეიძლება დაჰკარგოს კუნძული კრიტე. კარგა ხანია საბერძნეთს ჰპირდებოდნენ დიდი სახელმწიფოები კრიტეს საკითხში შენს მხარეზე ვიქნებითო. ერთი სახელმწიფოს პირველი მინისტრი იმასაც ჰპირდებოდა, რომ მალე მოხდება საბოლოო შეთანხმება სხვა სამ დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის და კრიტეც მალე საბოლოოდ შეუერთდება საბერძნეთსო. ეს იმედი გაუცრუვდა საბერძნეთს. დაპირება არ ასრულდა. ოფიცრებმა აღიმაღლეს ხმა და თავიანთ ქვეყნის მდგომარეობის გაუკეთესობაზე იწყეს ზრუნვა. შეადგინეს სამხედრო კავშირი, რომელმაც ბეჯითად მოითხოვა მთავრობისაგან საჭირო თანხის გადადება ჯარისა და ფლოტის გასაძლიერებლად. საჭირო იყო ფული. სამხედრო ბიუჯეტის გასადიდებლად რაიმე ახალი გადასახადის შემოღება იყო საჭირო. საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა ეფტაქსიასმა წინადადება შეიტანა, შემოღებულ იქმნას გადასახადი შემოსავალზე და მემკვიდრეობაზე. ამასთან მინისტრი თხოულობდა არა პირდაპირი გადასახადების შემცირებას. როდესაც პირველ საჭირობის ნივთებზე შემცირდება გადასახადი, ხალხის მოთხოვნილება აიწევს და ხაზინის შემოსავალი მეტი იქნებაო. მაგრამ შესძლებენ ამ საშუალების ცხოვრებაში გატარებას თუ არა—აი კითხვა, რომელიც ყველას ენაზე ადგა. გაიგეს თუ არა კაპიტალისტებმა მინისტრის აზრი კი მაშინვე საწინააღმდეგო აგიტაციას მიჰყვეს ხელი. პოლიტიკური პარტიები საბერძნეთში დაძაბუნებულნი არიან და გაზეთების აზრით,—მოსალოდნელია კაპიტალისტებმა კიდეც შესძლონ საზოგადოებრივ აზრის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება. ახალმა მინისტრმა განაცხადა, თუ ფინანსების საქმე ახლო მომავალში არ გამოკეთდა—სახელმწიფო ხაზინის გაკოტრება აუცილებელიაო- თუ ფული ვერ იშოვნა საბერძნეთმა—ჯარს ვერ გაუმჯობესებს—მაშასადამე პანელინიზმის პოლიტიკასაც ვერ აწარმოებს ისე, როგორც სამხედრო კავშირი თხოულობს. მოსალოდნელია გაურესდეს მდგომარეობა.

## რუსეთი

**ინგლისელი დეპუტატები.** „კასპი“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების სიტყვით მომავალ წლის თებერვალში პეტერბურგს ჩამოვლენ ინგლისის დეპუტატთა პალატის დეპუტატები. დეპუტატები დაათვალიერებენ პეტერბურგს და მოსკოვს.

**„კრამოლნიკური“ წიგნები.** სინოდს სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების პედაგოგიურ საბჭოებისთვის ბრძანება დაუგზავნია გადასინჯეთ სასწავლებლის წიგნსაცავები და თუ შიგ „კრამოლნიკური“ წიგნები აღმოჩნდა, მოსპეთო.


## განცხადებანი

**კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აჯეტიხანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ფ. მარცინშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—193)

## ფული ეგზავნება

**უკანვე ყველას, ვისაც საქონელი არ მოეწონება.**

**ინგლისური ტრიკო** მკვიდრი, ლამაზი, რბილი მატერია, წმინდა მატყლისა, ორ არშინიან განისა შემდეგ ფერებისა: შავი, მუქ-ლურჯი, მიხაკის ფერი, მწვანე, რუხი, სადა ან ახალ სახებიანი, ლამ. ზოლებიანი, ძველ ხაზიანი ან წინწკლებიანი. ნაჭერი 4½ არშ. მამაკაცის სრულ კასტიუმისთვის 5 მ., 6 მ., 7 მ. 50 კ., 8 მ. 40 კაპ., 10 მ. 50 კ., 12 მ. 75 კ. და 15 მ. 50 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს, მას მიეცემა სარჩული **უფასოდ.** **მანდოლოსნის „კონფეციონი“** ქალის სრულ ტანისამოსისთვის, ყოველგვარ ფერისა, სადა ან უჯრ. ან წინწკლებიანი. 8 არშ. ნაჭ. 5 მ. 60 კ., 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ. **„ტიროლის ტილო“** ყოველგვარ საცვლისთვის, კარგი, სიგ. 20 ვერ., ნაჭერი 24 არშ. 5 მ. 50 კ., 6 მ., 6 მ. 75 კ. გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფასდადებით მანეთზე 2 კ. ემატება ციმბირში გაგზავნის დროს. ადრესი: Фабрика Т—ва Суконно-шерстяной мануфактуры, г. Лодзь N 13.

(3—ფ.—3)

**სომეხთა ნერსესიან სასულ. სემინარიის შენობის ალმშენებელი**

## კ ო მ ი ს ი ა

ამით აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს მოხდება ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა შენობის ფასადის გამშვენება. ზომით დაახლოვებით 450 ოთხ-კუთხი საჟენი. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეუძლიანთ მიიღონ ყოველ-გვარი ცნობა, გაიცნონ სამუშაოს ტეხნიკური პირობები სემინარიის კანცელარიაში, ბარონისა და ნერსესოვის ქ. კუთხეში. ცნობების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(2—1020—2)

**მ ი ი ღ ე თ 2500 მ ა ნ ე თ ი**

**გამოგზავნეთ მხოლოდ 2 მანეთი**

გამოგზავნეთ ორი მანეთი და უფლება გექნებათ ¼ ბილეთზე მთავრობის მე-193 ლატარიის მე-4 კლასის ტირაჟის დროს. მოგების ტირაჟი მოხდება 28 და 29 ოქტომბერს და რადგან მსურველი ბევრია, ამიტომ გირჩევთ დააჩქაროთ ფულის გამოგზავნა. ფულის მიღებისათანავე გამოგეგზავნებათ დაწესებული მოწმობა, იმ ნომრის აღნიშვნით, რომლითაც მონაწილეობას იღებთ. ტირაჟის შემდეგ მონაწილეთ დაეგზავნებათ ოფიციალური ცნობა მოგებისა. მოგებს დეპეშით ეცნობება და ფულიც ადრესის თანახმად გაეგზავნება. მსურველთ ვთხოვ მომმართონ ამ ადრესით: Въ контору В. А. Френзель, Варшава, Красинская пл. N 2. დეპეშის ადრესი: Варшава, Френзель Красинская N 2. მთელი ბილეთისთვის საჭიროა 8 მან. (მოგება 10,000 მან.;) ნახევარ ბილეთისთვის—4 მან. (მოგება 5000 მან.).

(2—6.—1)

## 200 მანეთს საჩუქრად ვაძლევთ 200

იმას, ვინც დაამტკიცებს, რომ ქვემოდ დასახელებული ნივთები არ შეეფერება ჩვენ მიერ დადებულ ფასებს







**მხოლოდ 3 მ. 95 კ. ნაცვლად 12 მანეთ.**

უგზავნით 12 უსაჭიროეს, ფასიან ნივთებს:

1) საათი შავი ფოლადისა, ანკერის ქვებზე, მომართვა უგახადებლად 36 საათში ერთხელ; პირობასა ვდებთ, რომ 6 წელიწადს არ დადგება; 2) კოხტა მოდის ძეწკვი; 3) ახეთივე ბრელოკი; 4) ზამშის ბუდე საათის შესანახად; 5) ტყავის პორტმანე 7 განყოფილებით; 6) კაუჩუკის შტემპელი შემკვეთელის სახელით, მამის სახელით და გვარით; 7) შუშა წამალი შტემპელისთვის; 8) **ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ნ ი ვ თ ი:** ამერიკული უშიშარი სამართებელი „მულკუტა“, რომლითაც ყველას ადვილად შეუძლიანთ წვერის პარსვა; 9) ნიკელის წასასმელი ფერებისა; 10) ნიკელის ფინჯანი; 11) ამერიკული სტერეოსკოპი, რომელშიაც კაცი ყოველგვარ სურათს დაინახავს; 12) 25 ორ-აგი ფოტოგრაფიული სურათი. ყველა ეს ნივთები მსურველს 3 მ. 95 კ. გაეგზავნება. თუ უხმოდ დახურული საათიც იქნება—1 მანეთით უფრო ძვირია.

ადრესი: Складъ часовъ Т—во „Универсаль“, Варшава, Холодная, 22. მიწერ-მოწერა რუსულ ან გერმანულ ენაზე.

(Метцль и К. N 55955)

(3—6.—3)